

სადაზღვევო კომპანია შპს "აი სი ჯგუფი"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნასთან ერთად*

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	1
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	2
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	5
2. სააღრიცხვო პოლიტიკა.....	5
3. ძირითადი საშუალებები	31
4. საინვესტიციო ქონება	33
5. სესხები და მისაღები ანგარიშები	34
6. მოგების გადასახადის ხარჯი	34
7. სხვა აქტივები.....	36
8. მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან.....	37
9. საკრედიტო ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები	37
10. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	38
11. გაუფასურების რეზერვი და ანარიცხები	39
12. საკუთარი კაპიტალი	39
13. სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები	40
14. სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	46
15. ფინანსური ვალდებულებები	46
16. სხვა ვალდებულებები	47
17. პირობითი ვალდებულებები.....	48
18. წმინდა სადაზღვევო შემოსავალი	49
19. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი.....	50
20. სხვა საოპერაციო შემოსავალი.....	50
21. მომხდარი სადაზღვევო ზარალი, ნეტო	51
22. ხელფასები და სხვა გადახდები თანამშრომლებისთვის	52
23. ზოგადი და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები.....	52
24. შემოსავალი გაწეული სამედიცინო მომსახურებიდან	52
25. გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯი	53
26. რისკის მართვა.....	54
27. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	71
28. შემდგომი მოვლენები.....	72

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სადაზღვევო კომპანია შპს "აი სი ჯგუფის" აქციონერებს -

ჩავატარეთ სადაზღვევო კომპანია შპს „აი სი ჯგუფის“ (შემდგომში "კომპანია") და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში ერთობლივად - „ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2011 წლის 31 დეკემბრის თარიღით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის მომზადებული სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, სააღრიცხვო პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრინციპებისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორების პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვამთ მოსაზრება წარმოდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, დავიცვათ ეთიკის მოთხოვნები და იმგვარად დავვგემოთ და ჩავატაროთ აუდიტი, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, მათ შორის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებაზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ზემოაღნიშნული რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლის სისტემა ორგანიზაციის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის, რათა დაგვემოს მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი აუდიტორული დასკვნისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყოველმხრივ სამართლიანად ასახავს სადაზღვევო კომპანია "აი სი ჯგუფის" ფინანსურ მდგომარეობას 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი ფინანსური საქმიანობის შედეგს და ფულადი ნაკადების აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

სხვა საკითხები

ჯგუფის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში და შესაბამის განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენილი 2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის შესაბამისი ინფორმაციის აუდიტი არ ჩატარებულა.

12 სექტემბერი, 2012 წ.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2011	2010
აქტივები			
არამატერიალური აქტივები		134	21
ძირითადი საშუალებები	3	13,989	1,449
საინვესტიციო ქონება	4	1,261	–
სესხები და მისაღები ანგარიშები	5	288	2,146
გადაზღვევის აქტივები	13	30,399	3,722
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	6	1,143	815
მიმდინარე მოგების გადასახადი აქტივი	6	768	–
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	8	14,695	12,876
საკრედიტო ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები	9	11,760	14,827
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	10	1,704	2,222
სხვა აქტივები	7	4,890	2,611
სულ აქტივები		81,031	40,689
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	12	1,500	1,500
გაუნაწილებელი მოგება		5,233	6,369
კომპანიის აქციონერებისთვის განკუთვნილი მთლიანი კაპიტალი		6,733	7,869
სულ საკუთარი კაპიტალი		6,733	7,869
ვალდებულებებში			
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	13	45,040	16,627
ფინანსური ვალდებულებები	15	14,702	6,093
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	14	8,565	8,549
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	6	152	–
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	6	–	129
სხვა ვალდებულებები	16	5,839	1,422
სულ ვალდებულებები		74,298	32,820
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		81,031	40,689

ხელმოწერილი და დამტკიცებულია გამოსაცემად სადაზღვევო კომპანია შპს „აი სი ჯგუფის“
დირექტორთა საბჭოს მიერ:

თენგიზ მეზურნიშვილი



გენერალური დირექტორი

ლევან კაკულია



ფინანსური დირექტორი

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება**2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2011	არაუდიტირებული 2010
სადაზღვევო ხელშეკრულებებით მიღებული მთლიანი სადაზღვევო პრემია	18	30,404	52,345
გადამზღვევლის წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებით მიღებულ მთლიან სადაზღვევო პრემიაში	18	(5,621)	(10,402)
წმინდა სადაზღვევო შემოსავალი		24,783	41,943
საპროცენტო შემოსავალი	19	1,591	2,319
შემოსავალი გაწეული სამედიცინო მომსახურებიდან	24	1,018	–
სხვა საოპერაციო შემოსავალი	20	2,757	188
სხვა შემოსავალი		5,366	2,507
სულ შემოსავლები		30,149	44,450
გადახდილი სადაზღვევო ზარალები	21	(32,860)	(24,644)
გადამზღვევლის წილი გადახდილ სადაზღვევო ზარალებში	21	16,649	954
მთლიანი ცვლილება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებში	21	(26,230)	5,012
გადამზღვევლის წილი სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიან ცვლილებაში	21	25,385	(178)
სადაზღვევო მოთხოვნები, ნეტო		(17,056)	(18,856)
საპროცენტო ხარჯი	19	(1,169)	(666)
აკვიზიციური შემოსავალი (ხარჯი), სადაზღვევის გამოკლებით		411	(352)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	22	(3,909)	(3,666)
ზოგადი და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	23	(3,585)	(2,172)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	3	(631)	(222)
გაუფასურების ხარჯი	11	(1,811)	(5,071)
გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯი	25	(972)	–
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული ზარალი		(615)	(823)
სხვა საოპერაციო ხარჯები	20	(2,385)	(1,573)
სხვა ხარჯები		(14,666)	(14,545)
სულ სარგებელი, მოთხოვნები და სხვა ხარჯები		(31,722)	(33,401)
(ზარალი)/მოგება გადასახადით დაბეგრამდე		(1,573)	11,049
მოგების გადასახადის ხარჯი/(სარგებელი)	6	437	(458)
მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი წლის განმავლობაში		(1,136)	10,591
სხვა სრული შემოსავალი		–	–
მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი წლის განმავლობაში		(1,136)	10,591
მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი, რომელიც განკუთვნილია:			
- კომპანიის აქციონერებისთვის		(1,136)	10,591
		(1,136)	10,591

5-72 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	განკუთვნილი კომპანიის აქციონერებისთვის		
	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
(არააუდიტირებული)	1,500	1,857	3,357
მთლიანი სრული შემოსავალი (არააუდიტირებული)	–	10,591	10,591
წლის განმავლობაში გამოცხადებული შუალედური მოგების დივიდენდები (არააუდიტირებული)	–	(6,079)	(6,079)
(შენიშვნა 12)			
31 დეკემბერი 2010 წ.	1,500	6,369	7,869
მთლიანი სრული შემოსავალი	–	(1,136)	(1,136)
31 დეკემბერი, 2011 წ.	1,500	5,233	6,733

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2011	არააუდიტირებული 2010
საოპერაციო საქმიანობა			
(ზარალი)/მოგება გადასახადით დაბეგვრამდე		(1,573)	11,049
კორექტივები:			
ცვლილებები საოპერაციო აქტივები		(28,174)	18,324
ცვლილებები საოპერაციო ვალდებულებებში		32,717	(23,167)
საპროცენტო შემოსავალი	19	(1,591)	(2,319)
საპროცენტო ხარჯი	19	1,169	666
არაფულადი მუხლები, შესული (ზარალში)/მოგებაში			
გადასახადით დაბეგვრამდე:			
გაუფასურებით გამოწვეული ზარალი	11	1,811	5,071
ძირითადი საშუალებების ცვეთა	3	617	220
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია		14	2
სხვა		(866)	586
გადახდილი მოგების გადასახადი		(1,339)	(458)
საოპერაციო საქმიანობაში (გამოყენებული)/მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		2,785	9,974
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(11,516)	(112)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი		30	–
არამატერიალური აქტივების შეძენა		–	(7)
ინვესტიციებში ჩადებული ფულადი თანხა, ნეტო		(67)	(4,743)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(11,553)	(4,862)
ფინანსური საქმიანობა			
აღებული სესხები		22,603	2,491
დაფარული სესხები		(12,687)	(2,021)
საბანკო სესხებზე გადახდილი საპროცენტო ხარჯი	19	(1,169)	(666)
შუალედური მოგების გადახდილი დივიდენდები		(417)	(4,226)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		8,330	(4,422)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა		(438)	690
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები, საწყისი ნაშთი		2,222	1,358
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(80)	174
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები, საბოლოო ნაშთი		1,704	2,222

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

სადაზღვევო კომპანია შპს „აი სი ჯგუფი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2005 წლის 10 ნოემბერს თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2009 წლის 5 მაისს სადაზღვევო კომპანიამ შპს „აი სი ჯგუფი“ შეიძინა სს „სახალხო დაზღვევის“ 100%. ეს უკანასკნელი 2009 წლის 15 სექტემბერს შეერწყა სადაზღვევო კომპანია შპს „აი სი ჯგუფს“.

კომპანია ფლობს დაზღვევის ბიუროსა და სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემულ ორი ტიპის სადაზღვევო ლიცენზიას სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის პროდუქტებისთვის. კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის სხვადასხვა მომსახურებას და ქონების, საჰაერო ტრანსპორტის, პასუხისმგებლობის, ფიზიკური პირის დაზღვევის და სხვა პროდუქტებს. სადაზღვევო მომსახურების გარდა კომპანია კლიენტებს სამედიცინო პრეპარატებსა და მომსახურებასაც სთავაზობს თავისი შვილობილი კომპანიის შპს "მედიკალ პარკ საქართველოს" მეშვეობით, რომელშიც 100%-იან წილს ფლობს.

კომპანიის იურიდიული მისამართია მოსაშვილის ქ. 24, თბილისი, 0162 საქართველო.

კომპანიის დამფუძნებელი და საწესდებო კაპიტალის 78%-იანი წილის მფლობელი არის შპს „LGV 2005“, ხოლო აქციათა 22% ეკუთვნის კომპანიის გენერალურ დირექტორს - თენგიზ მეზურნიშვილს, რომელიც ამავდროულად შპს "LGV 2005"-ს უშუალო მესაკუთრეცაა.

თანამშრომლების რაოდენობა 2011 წლის ბოლოსთვის იყო 224 (2010 წ: 293).

კომპანიის 2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცდა 2012 წლის 12 სექტემბერს აქციონერების გადაწყვეტილებით.

2. სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. მომზადების საფუძველი

კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. კომპანიას მოეთხოვება აღრიცხვის წარმოება და მარეგულირებელი ორგანოებისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის შესაბამისად ლარში მომზადება.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებითაა შეფასებული.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარმოდგენილია ლარში (სამუშაო და წარსადგენ ვალუტაში), რომლებიც დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე (000 ლარი), თუ სხვა რამე არ არის საგანგებოდ აღნიშნული.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მუხლების თანმიმდევრულობა მოცემულია ლიკვიდურობის ხარისხის მიხედვით. ანგარიშგების თარიღიდან თორმეტი თვის განმავლობაში (მიმდინარე) ან ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის შემდგომ პერიოდში (გრძელვადიანი) თანხების ამოღებისა თუ გადახდის შესახებ ანალიზი წარმოდგენილია შესაბამის შენიშვნებში.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

2. სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**2.1. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)**

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი.

2.2. კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და ქვემოთ ჩამოთვლილი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას:

შვილობილი კომპანიები	წილობრივი მონაწილეობა/ ხმის უფლება		ქვეყანა	დაარსების თარიღი	საქმიანობის სფერო
	2011	2010			
შპს „IC Assistance“	100%	100%	საქართველო	25-აპრ-06	ინფორმაცია და კომუნიკაცია
შპს "ალიანს მედი +"	100%	100%	საქართველო	11-ოქტ-10	უძრავი ქონება ჯანდაცვის მომსახურების მომწოდებელი
შპს "მედიკალ პარკ საქართველო"	100%	100%	საქართველო	16-ნოემბ-10	ინფორმაცია და კომუნიკაცია
შპს „Global Call“	100%	100%	საქართველო	03-დეკ-10	უძრავი ქონება
შპს "აგარაკი"	100%	—	საქართველო	25-ოქტ-11	

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

2. სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2. კონსოლიდაციის საფუძველი (გაგრძელება)

შვილობილი კომპანიები სრულად კონსოლიდირებულია მათი შემენის თარიღიდან, ანუ იმ დღიდან, როდესაც ჯგუფმა მათზე კონტროლი მოიპოვა და მათი კონსოლიდაცია გრძელდება იმ დღემდე, როდესაც ჯგუფი მათზე კონტროლს დაკარგავს. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება მზადდება ანგარიშგების იმავე წლისთვის, რომლისთვისაც მშობელი კომპანიის ანგარიშგება, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით.

ჯგუფის ყველა შიდა ნაშთი, ოპერაცია, ჯგუფის შიდა ოპერაციებით განპირობებული მოგება და ხარჯი, ასევე შემოსულობა და ზარალი სრულად არის გაქვითული.

2.3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები - ეკონომიკური ერთეულები, რომლებშიც ჯგუფი ფლობს ხმის უფლების მქონე აქციების ნახევარზე მეტს ან სხვაგვარად აკონტროლებს მათ საქმიანობას, კონსოლიდირებულია. შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებულია ჯგუფისთვის კონტროლის გადაცემის დღიდან და კონსოლიდირებული აღარ არის კონტროლის შეწყვეტის დღიდან. ჯგუფის შიდა ყველა გარიგების, მის შვილობილ კომპანიებს შორის არსებული ნაშთისა და არარეალიზებული შემოსულობის სრულად ლიკვიდაცია ხდება, ასევე ხდება არარეალიზებული დანაკარგების ლიკვიდაციაც, თუ გარიგება არ წარმოადგენს გადაცემული აქტივის გაუფასურების მტკიცებულებას. საჭიროების შემთხვევაში შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა შეცვლილია ჯგუფის პოლიტიკასთან შესაბამისობის მიზნით.

შვილობილი კომპანიის კაპიტალში წილის შეცვლა, კონტროლის შეცვლის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება. ზარალი მიეწერება არასაკონტროლო პაკეტს მაშინაც კი, თუ ეს ბალანსის დეფიციტს იწვევს.

თუ ჯგუფი შვილობილ კომპანიაზე კონტროლს დაკარგავს, იგი წყვეტს შვილობილი კომპანიის აქტივების (გუდვილის ჩათვლით) და ვალდებულებების, ნებისმიერი არასაკონტროლო პაკეტის საბალანსო ღირებულების, კუმულაციური საკურსო სხვაობების აღიარებას, რაც კაპიტალში აღირიცხება, აღიარებს მიღებული საზღაურის, ნებისმიერი შენარჩუნებული ინვესტიციის სამართლიან ღირებულებასა და მოგებაში ან ზარალში ნებისმიერ ნამეტს თუ დეფიციტს და ახდენს მშობელი კომპანიის კომპოტენტების წილის რეკლასიფიკაციას სხვა სრული შემოსავლიდან მოგებაში ან ზარალში.

პროდუქტების კლასიფიკაცია

სადაზღვევო ხელშეკრულებები ნიშნავს ისეთ ხელშეკრულებებს, რომელთა გაფორმებითაც კომპანია კისრულობს მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს სხვა მხარის (სადაზღვევო პოლისის მფლობელების) წინაშე, რადგან თანხმდება, პოლისის მფლობელს აუნაზღაუროს ზარალი, თუ მომავალში მომხდარი გარკვეული მოვლენა (სადაზღვევო შემთხვევა) უარყოფითად იმოქმედებს პოლისის მფლობელზე. იმისათვის, რომ განსაზღვროს აქვს თუ არა მნიშვნელოვანი სადაზღვევო რისკი, კომპანია, გავრცელებული წესის თანახმად, გადახდილ სადაზღვევო ანაზღაურებას ადარებს გადასახდელ ანაზღაურებას, სადაზღვევო შემთხვევა რომ არ დამდგარიყო. სადაზღვევო ხელშეკრულებებით ფინანსური რისკის გადაცემაც შეიძლება.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

2. სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მას შემდეგ, რაც ხელშეკრულებას მიაკუთვნებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კატეგორიას, იგი სადაზღვევო ხელშეკრულებად რჩება დარჩენილი ვადის განმავლობაში, მაშინაც კი, თუ ამ ხნის მანძილზე სადაზღვევო რისკი საგრძნობლად შემცირდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ყველა უფლება-მოვალეობა შესრულდება ან მათი ვადა ამოიწურება.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება ნებისმიერი დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგი. კომპანიის შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივების კაპიტალიზაცია, გარდა კაპიტალიზებული კვლევა-განვითარების ხარჯებისა, არ ხდება და ხარჯები აისახება იმ წლის მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, რომლის განმავლობაშიც ეს ხარჯი გაიწია.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა შეზღუდულად ან შეუზღუდავად ფასდება.

შეზღუდული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება ეკონომიკური მომსახურების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც რამე მიანიშნებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი სასარგებლო გამოყენების შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივის შემთხვევაში მინიმუმ ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაისინჯება. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

2. სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

- კომპიუტერული პროგრამები: 5 წელზე

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები, მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონების ჩათვლით, აღრიცხულია თვითღირებულებით, გარდა ყოველდღიურ მომსახურებაზე გაწეული დანახარჯებისა, რასაც აკლდება დარიცხული ცვეთა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალი. ჩანაცვლების ღირებულება ან ძირითადი ტექნიკური შემოწმების დანახარჯები კაპიტალიზდება მათი გაწევისთანავე და თუ მოსალოდნელია აქტივიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება და თუ შესაძლებელია აქტივის ღირებულების სათანადო სიზუსტით შეფასება.

ცვეთა ხდება დარიცხვის წრფივი მეთოდით ქვემოაღნიშნული კატეგორიების აქტივების სასაგებლო გამოყენების ვადაზე:

- შენობა-ნაგებობები: 20 წელზე
- ავტოსატრანსპორტო საშუალებები: 5 წელზე
- სამედიცინო აღჭურვილობა და მანქანა-დანადგარები: 5 წელზე
- ავეჯი და მოწყობილობები: 5-დან 10 წლამდე
- საიჯარო ქონების გაუმჯობესება: 7 წელზე

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება და კორექტირდება ყოველ ფინანსურ წელს და, საჭიროების შემთხვევაში, პერსპექტიულადაც კორექტირდება.

გაუფასურების დასადგენად შეფასება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს იმის ნიშნები, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღირიცხება ხარჯად.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის იმ წლის მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

დაუმთავრებელი მშენებლობა მოიცავს ძირითადი საშუალებების მშენებლობის პირდაპირ ხარჯებს, მათ შორის სათანადოდ გადანაწილებულ უშუალოდ მიკუთვნებად ცვალებად და ფიქსირებულ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც მშენებლობის პროცესში იქნა გაწეული. ამ აქტივების ცვეთა, მსგავსი გრძელვადიანი აქტივების მსგავსად, იწყება მაშინ, როდესაც ხდება ამ აქტივების ექსპლუატაციაში მიღება.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

2. სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საიჯარო ქონების გაუმჯობესება ამორტიზდება შესაბამისი იჯარით აღებული აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადაზე. ყოველი ფინანსური წლის ბოლოს აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და მეთოდები გადაისინჯება და დაკორექტირდება შესაბამისად.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება და იგი გარიგების დანახარჯებსაც მოიცავს. საბალანსო ღირებულებაში შედის არსებული საინვესტიციო ქონების ნაწილის გამოცვლის ხარჯი იმ დროისთვის, როცა ეს ხარჯი გაიწია, თუ დაკმაყოფილებულია აღიარების კრიტერიუმები. მასში არ შედის საინვესტიციო ქონების ყოველდღიური ტექნიკური მომსახურების ხარჯი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ საინვესტიციო ქონება აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ასახავს ანგარიშგების თარიღისთვის არსებულ საბაზრო პირობებს. საინვესტიციო ქონების სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული მოგება ან ზარალი აღირიცხება იმ წლის მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როდესაც ეს მოგება ან ზარალი წარმოიშვა.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მათი გასხვისების დროს ან როდესაც საინვესტიციო ქონების ექსპლუატაციიდან საბოლოოდ ხდება ამოღება და მოსალოდნელი არ არის მათი გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. ნებისმიერი საინვესტიციო ქონების ჩამოწერის ან გასხვისების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარებულია იმ წლის მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როდესაც აღიარება ან ჩამოწერა ხდება.

საინვესტიციო ქონების ანგარიშზე ან ანგარიშიდან ქონების გადატანა ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც სარგებლობაში მომხდარ ცვლილებას მოწმობს მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონების გათავისუფლება, სხვა პირზე საოპერაციო იჯარით ქონების გადაცემის ძალაში შესვლა ან სამშენებლო თუ განახლებითი სამუშაოების დასრულება. საინვესტიციო ქონებიდან მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონების ანგარიშზე ქონების გადატანის შემთხვევაში შემდგომი აღრიცხვისთვის დასაშვები ღირებულება არის სამართლიანი ღირებულება სარგებლობაში მომხდარი ცვლილების თარიღისთვის. თუ მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება იქცევა საინვესტიციო ქონებად, კომპანია ასეთ ქონებას აღრიცხავს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის პოლიტიკის შესაბამისად სარგებლობაში ცვლილების მოხდენის თარიღამდე.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

2. სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენაზე გაწეულ დანახარჯებსა და ამჟამინდელ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მათ მისაყვანად გაწეულ ხარჯებს. მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი წარმოების თვითღირებულება მოიცავს წარმოების ზედნადები ხარჯის შესაბამის ნაწილს ნორმალური საწარმოო სიმძლავრის პირობებში, და არ მოიცავს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რომელსაც აკლდება წარმოების დასრულების და პროდუქციის რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი. ანარიცხები არ არის გათვალისწინებული მოძველებული ან ძნელადრეალიზებადი სასაქონლო-მატერიალური მარაგებისთვის.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ბასს 39-ით გათვალისწინებული ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები, ან წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები საჭიროების შემთხვევაში ჰეჯირებისთვის. კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური აქტივების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები მხოლოდ იმ ინვესტიციების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში.

ინვესტიციების კლასიფიკაცია დამოკიდებულია მათი შეძენის ან წარმოშობის მიზანზე. ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ხდება, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული აქტივებისა, რადგანაც კომპანიის საინვესტიციო სტრატეგია არის ფინანსური ინვესტიციების მართვა სამართლიანი ღირებულების გამოყენებით, რადგანაც შესაბამისი ვალდებულებებიც სამართლიანი ღირებულების გამოყენებით იმართება. გასაყიდად გამიზნული და დაფარვის ვადამდე ფლობილი კატეგორიები გამოიყენება მაშინ, როდესაც შესაბამისი ვალდებულება (მათ შორის, აქციონერთა სახსრები) პასიურად იმართება და /ან აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვის აღიარება, რომელიც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან გავრცელებული საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში, ხდება გარეგნის თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აიღო ასეთი აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება.

კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს ფულად სახსრებსა და მოკლევადიან დეპოზიტებს, სესხებს და სხვა მისაღებ ანგარიშებს და გასაყიდად გამიზნულ ინვესტიციებს.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

2. სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სესხები და სხვა მისაღები მოთხოვნები

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ამ ინვესტიციების აღიარება თავდაპირველად ხდება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს ინვესტიციის შესაძენად გადახდილი საზღაურის სამართლიან ღირებულებას. ინვესტიციის თვითღირებულებაში შედის მის შემენასთან უშუალოდ დაკავშირებული ყველა გარიგების დანახარჯი. თავდაპირველი შეფასების შემდეგი სესხები და მისაღები ანგარიშები ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, რასაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი დისკონტის ან შესყიდვის პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგების "საპროცენტო შემოსავლის" ნაწილში. მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება ინვესტიციების აღიარების შეწყვეტის ან გაუფასურების დროს, აგრეთვე ცვეთის პროცესში.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები ის არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, რომლებსაც კომპანია გასაყიდად ფლობს და რომლებიც ზემოთ მოცემული სამი კატეგორიიდან არც ერთს არ მიეკუთვნება. ამ ინვესტიციების შეფასება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ხდება. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივების ხელახლა შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით, და შემოსულობისა და ზარალის სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ცალკე კომპონენტად აღიარებით, ინვესტიციის აღიარების შეწყვეტამდე ან გაუფასურებამდე, რომლის დროსაც კაპიტალში აღრიცხული აკუმულირებული მოგება თუ ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. თუმცა, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოანგარიშებული საპროცენტო შემოსავლების აღიარება ხდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

ორგანიზებულ ფინანსურ ბაზრებზე აქტიურ მიმოქცევაში მყოფი აქტივების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება ბაზარზე კოტირებული შეთავაზებული ფასებით სამუშაო დღის დახურვის მომენტისთვის, ანგარიშგების თარიღით. სხვა დანარჩენი ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომელთა საბაზრო პირობებთან შედარებაც ვერ ხერხდება, სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასების მეთოდების გამოყენებით. ამ მეთოდებში შედის სამართლიანი პირობებით შემდგარი საბაზრო გარიგება, სხვა არსებითად ანალოგიური ინსტრუმენტის მიმდინარე საბაზრო ფასის დამოწმება და დისკონტირებული ფულადი სახსრების ანალიზი.

თუ ამ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია, მათი აღიარება ხდება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს ინვესტიციის შესაძენად გადახდილი საზღაურის სამართლიან ღირებულებას ან ფინანსური ვალდებულების გაცემისთვის მიღებულ თანხას. ინვესტიციის თვითღირებულებაში შედის მის შემენასთან უშუალოდ დაკავშირებული ყველა გარიგების დანახარჯი.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

2. სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. შემოსავალი და ხარჯი მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, რომლის შესახებაც საგანგებოდ მიეთითება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც შესაძლებელია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება წყდება, როდესაც:

- ამოწურულია აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების ვადა
- კომპანიამ დაიტოვა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან აიღო თანხების სრულად და მნიშვნელოვანი დაგვიანების გარეშე მესამე მხარეებისთვის გადახდის ვალდებულება „გადაცემის“ ხელშეკრულების თანახმად; და
- კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი; ან
- კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ხელშეკრულება ამაზე, და არც გადაუცია და არც დაუტოვებია აქტივთან დაკავშირებული ძირითადი რისკები და სარგებელი, და არც კონტროლი გადაუცია აქტივზე, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით.

უწყვეტი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალური თანხას შორის, რომლის გადახდაც შესაძლოა კომპანიას დასჭირდეს, უმცირესით.

ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის, კომპანია აფასებს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების რაიმე ობიექტური ნიშნის არსებობას. ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად განიხილება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა“), და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა ზეგავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მოსალოდნელ მომავალ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

2. სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მევალე ან მევალეთა ჯგუფი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს სესხის პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულებას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა და ხელთ არსებული მონაცემები მიუთითებს ფულადი სახსრების მოსალოდნელი მომავალი ნაკადების შემცირებაზე, როგორცაა ცვლილებები ვადაგადაცილებული გადახდების დონეში ან ეკონომიკურ პირობებში, რომლებსაც უკავშირდება ვალდებულებების შეუსრულებლობა.

გადაზღვევა

ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობის პირობებში კომპანია თავისი საქმიანობის ყველა მიმართულების სადაზღვევო რისკს გადასცემს. გადაზღვევის აქტივები წარმოადგენს გადამზღვეველი კომპანიებისგან მისაღებ ნაშთებს. გადამზღვევლებისგან ამოღებადი თანხები ფასდება ისევე, როგორც გადამზღვევლის პოლისებთან დაკავშირებული აუნაზღაურებელი ზარალის რეზერვი ან დარეგულირებული სადაზღვევო მოთხოვნები და შეესაბამება მათთან დაკავშირებულ გადაზღვევის კონტრაქტს.

გადაზღვევის აქტივების გაუფასურების შემოწმება წარმოებს ანგარიშგების ყოველი თარიღით ან უფრო ხშირად, როდესაც ანგარიშგების წლის განმავლობაში გაუფასურების ნიშნები გამოიკვეთება. გაუფასურებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც გადაზღვევის აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენის შედეგად არსებობს ობიექტური ნიშნები იმისა, რომ კომპანიამ შესაძლოა ვერ ამოიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხები და როდესაც გადამზღვევლისგან მისაღებ თანხებზე ასეთი მოვლენის გავლენის შეფასება სარწმუნოდ არის შესაძლებელი. გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აისახება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

გადაზღვევის შეძენის შედეგად მიღებული მოგებისა და ზარალის აღიარება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, შესყიდვის თარიღითვე ხდება და მათი ამორტიზაცია არ წარმოებს.

გადაზღვევის ვალდებულებები წამოადგენს გადამზღვეველი კომპანიებისთვის გადასახდელ ნაშთებს. გადასახდელი თანხები ფასდება შესაბამისი გადაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით.

გადაზღვევის პრემიები და მოთხოვნები წარმოდგენილია მთლიანი (ბრუტო) თანხებით.

გადაზღვევის აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ამოიწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები ან როდესაც ხელშეკრულება სხვა მხარეს გადაეცემა.

ურთიერთგაქვითვა

გადაზღვევის აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად გადაზღვევის აქტივის რეალიზაციისა და გადაზღვევის ვალდებულებების დაფარვის სურვილი. შემოსავალი და ხარჯი მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, რომლის შესახებაც საგანგებოდ მიეთითება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

2. სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

პრემიების მოზიდვის ხარჯი

პრემიების მოზიდვის ყველა სხვა ხარჯის აღიარება ხდება ხარჯად მათი გაწევისთანავე.

სადაზღვევო დებიტორული დავალიანება

სადაზღვევო დებიტორული დავალიანების აღიარება ხდება მათი დაფარვის თარიღით და ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისას. სადაზღვევო დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურება მოწმდება მაშინ, თუ რაიმე მოვლენები ან გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შეიძლება ვერ მოხერხდეს, და გაუფასურებით გამოწვეული ხარჯი აღირიცხება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

სადაზღვევო დებიტორული დავალიანების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილდება ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმები, 2.3 (ე) შენიშვნაში აღწერილი წესით.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს კომპანიაში არსებულ ნაღდ ფულს, სამი თვის ან უფრო მცირე ვადის მქონე მიმდინარე ანგარიშებსა და მოკლევადიან დეპოზიტებს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

2. სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე და წინა პერიოდებისთვის გამოითვლება, როგორც საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი ან მათ მიერ დასაბრუნებელი თანხა. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება საგადასახადო განაკვეთები და კანონები, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად მოქმედებულია ანგარიშგების თარიღისთვის იმ ქვეყანაში, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას და იღებს დასაბეგრ შემოსავალს.

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

გადავადებული გადასახადი

გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აისახება იმ პირობით, თუ არსებობს ალბათობა დასაბეგრი მოგებისა, რომლითაც შესაძლებელი იქნება დროებითი გამოქვითვადი სხვაობების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულების დაფარვის პერიოდში იმ განაკვეთებზე დაყრდნობით, რომლებიც მოქმედებდა ან ამოქმედდა ანგარიშგების დღეს.

გადავადებული მოგების გადასახადი წარმოდგენილია დროებით სხვაობებზე, რომლებიც წარმოიშობა ინვესტიციებიდან შვილობილ კომპანიებში, მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაძლოა გაკონტროლებულ იქნას დროებითი სხვაობის აღდგენის დრო და ახლო მომავალში მათი აღდგენა არ არის მოსალოდნელი.

პირდაპირ კაპიტალში აღიარებულ მუხლებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება კაპიტალში და არა მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითვას დაექვემდებარება, თუ კანონით გათვალისწინებულია მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულებებთან გაქვითვის უფლება, და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები უკავშირდება იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ დასაბეგრ კომპანიაზე ან კომპანიებზე დაკისრებულ მოგების გადასახადებს, როდესაც არსებობს ნაშთების ურთიერთგაქვითვის განზრახვა.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები შესულია სხვა საოპერაციო ხარჯებში.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

2. სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება საიჯაროა, ან იჯარას შეიცავს თუ არა, ხდება შეთანხმების შინაარსზე დაყრდნობით საიჯარო ვადის დაწყების თარიღისთვის და საჭიროებს იმის შეფასებას, შეთანხმების პირობების შესრულება დამოკიდებულია თუ არა კონკრეტული აქტივის ან აქტივების გამოყენებაზე და შეთანხმება ასახავს თუ არა აქტივის სწორად სარგებლობას, მაშინაც კი თუ ეს მკაფიოდ არ არის აღნიშნული შეთანხმებაში. 2005 წლის 1 იანვრამდე გაფორმებული შეთანხმებებისთვის იჯარის დაწყების თარიღად ითვლება 2005 წლის 1 იანვარი, ფაისკ 4-ის მოთხოვნების თანახმად.

კომპანია, როგორც მოიჯარე

ფინანსური იჯარა, რომელიც კომპანიას გადასცემს იჯარის საგნის ფლობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს კაპიტალიზდება იჯარის დაწყებისთანავე იჯარის საგნის სამართლიან ღირებულებასა და მინიმალური საიჯარო გადასახადის დღევანდელ ღირებულებას შორის უმცირესით. საიჯარო გადასახადები ნაწილდება ფინანსურ დანახარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის იმგვარად, რომ წარმოიქმნას მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დარჩენილ ნაშთზე. ფინანსური დანახარჯები მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღირიცხება საპროცენტო ხარჯის ნაწილში.

იჯარით გადაცემული აქტივები ცვდება მათი სასარგებლო გამოყენების მთლიანი ვადის განმავლობაში. ამის მიუხედავად, თუ ნაკლებ სავარაუდოა კომპანიის მიერ საიჯარო ვადის ბოლოსთვის საკუთრების შეძენა, აქტივი ცვდება სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადასა და საიჯარო ვადას შორის უმცირესი ვადის განმავლობაში.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

2. სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

იჯარა, რომლითაც კომპანიას არ გადაეცემა იჯარის საგნის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არის საოპერაციო იჯარა. მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში საოპერაციო იჯარის გადასახადის აღიარება ხდება ხარჯად იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯად იმავე პერიოდში, რომელშიც ეს ხარჯი გაიწია.

სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტები წარმოადგენს მთავრობის დახმარებას ეკონომიკური სუბიექტისთვის რესურსების გადაცემის სახით, წარსულში ან მომავალში ამ ეკონომიკური სუბიექტის საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გარკვეული პირობების დაკმაყოფილების სანაცვლოდ. მათ რიცხვს არ განეკუთვნება მთავრობისგან მიღებული ისეთი სახის დახმარება, რომლის ღირებულების განსაზღვრაც შეუძლებელია საკმარისი სიზუსტით, და ისეთი გარიგებები მთავრობასთან, რომლებიც არ განსხვავდება ეკონომიკური სუბიექტის სხვა ჩვეულებრივი სავაჭრო გარიგებებისგან.

აქტივებთან დაკავშირებული გრანტები არის სახელმწიფო გრანტები, რომლებიც ეკონომიკურ სუბიექტს ეძლევა იმ პირობით, რომ განხორციელდება გრძელვადიანი აქტივების შეძენა, აშენება ან სხვა გზით მოზიდვა. გრანტით შეიძლება გათვალისწინებული იყოს სხვა პირობებიც, კერძოდ, აქტივის სახეობა, განლაგება, მათი შეძენის ან ფლობის პერიოდი. აქტივებთან დაკავშირებული გრანტების გარდა სახელმწიფო გრანტები შემოსავლებთან დაკავშირებულიც შეიძლება იყოს.

აქტივებთან დაკავშირებული გრანტების წარმოდგენა

აქტივებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები, მათ შორის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული არაფულადი გრანტები ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აისახება "გადავადებული შემოსავლის" ანგარიშზე.

გადავადებული გადასახადის აღიარება სისტემატურად წარმოებს მოგებაში ან ზარალში აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი – საკურსო სხვაობა. ეს არ ეხება ისეთ მუხლებს, რომლებზეც მოგება ან ზარალი აღიარდება პირდაპირ კაპიტალში. ასეთ შემთხვევაში მოგება-ზარალი აღიარდება კაპიტალში საკურსო კომპონენტის გამოკლებით. არაფულადი მუხლების კონვერტაცია, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

2. სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და სეზონ-ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს შესულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებულ მოგებას გამოვლენილი ზარალის მუხლში. სეზონ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად იყო 1.6703 და 1.7728 ლარი 1 აშშ. დოლართან მიმართებაში.

სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები

სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები

სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებისთვის რეზერვი გამოითვლება დათვლის გონივრული „პერსპექტიული“ აქტუარული მეთოდით, სადაც გამოყენებული დამხმარებელი დამოკიდებულია თითოეული სიცოცხლისთვის დამახასიათებელ გარემოებებზე.

დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზოგადი ვალდებულებები

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ზოგად ვალდებულებებს შეადგენს ანგარიშგების თარიღისთვის მომხდარი, მაგრამ დაურეგულირებელი ყველა მოთხოვნის ერთიანი ხარჯი იმისდა მიუხედავად, განცხადებულია, თუ არა, ასევე მასთან დაკავშირებული მოთხოვნების დარეგულირების ხარჯები და მოსალოდნელი ნარჩენი და სხვა სალიკვიდაციო ღირებულების შემცირება. გარკვეული ტიპის ზოგადი სადაზღვევო მოთხოვნების შეტყობინება და რეგულირება შეიძლება საკმაოდ დაგვიანდეს, განსაკუთრებით პასუხისმგებლობის დაზღვევის, გარემოს დაცვისა და დაბინძურების რისკებისგან დაზღვევის შემთხვევაში, ამიტომ ანგარიშგების თარიღისთვის საბოლოო ხარჯი დაზუსტებით არ არის ცნობილი.

ზარალების რეზერვი და ზარალის რეგულირების ხარჯების რეზერვი იქმნება მომხდარ, მაგრამ დაურეგულირებელ მოთხოვნებზე გაწეული ზარალისა და ზარალის რეგულირების ხარჯების ასანაზღაურებლად. ზარალების რეზერვი და ზარალის რეგულირების ხარჯის რეზერვი ორ კატეგორიად იყოფა: განცხადებული მოთხოვნების რეზერვები და მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი მოთხოვნების რეზერვები.

განცხადებული მოთხოვნების რეზერვი იქმნება მოთხოვნებთან დაკავშირებით მომავალში მოსალოდნელი გადახდების, მათ შორის, მოთხოვნებთან დაკავშირებული ზარალის რეგულირების ხარჯების მიხედვით. მსგავსი შეფასებები ხდება ინდივიდუალურად, რეზერვების განსაზღვრის დროისთვის არსებული ფაქტებისა და გარემოებების მიხედვით. ეს შეფასებები ეყრდნობა მოთხოვნების მიმღები თანამშრომლების მიერ სადაზღვევო რეზერვების შექმნის ზოგადი პრაქტიკისა და კონკრეტული ტიპის მოთხოვნის ხასიათისა და ოდენობის მიხედვით მიღებულ ინფორმირებულ გადაწყვეტილებებს. რეზერვები რეგულარულად გადაფასდება დარეგულირების ჩვეულებრივ პროცესში და კორექტირდება, როგორც კი მათ შესახებ ახალი ინფორმაცია გახდება ცნობილი.

მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვები იქმნება ზარალის იმ მოსალოდნელი ოდენობის აღიარებისთვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა, მაგრამ კომპანიას მათ შესახებ ჯერ არ განუცხადებია. მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვები, გაცხადებული ზარალის რეზერვების ანალოგიურად, იქმნება მოთხოვნების საბოლოოდ ანაზღაურებისთვის საჭირო დანახარჯებისა და ხარჯების აღიარების მიზნით.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

2. სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

აუნაზღაურებელი მოთხოვნების საერთო ხარჯი გამოითვლება ზარალის პროგნოზირების სტანდარტული აქტუარული მეთოდების გამოყენებით, მათ შორის ე.წ. ჯაჭვისებური კიბის მეთოდით.

სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები (გაგრძელება)

ეს მეთოდები პროგნოზისთვის იყენებს გადახდილი და მომხდარი ზარალის, თითოეული მოთხოვნის საშუალო მოცულობისა და მოთხოვნების რაოდენობის გასული წლების ტენდენციებზე და ასევე მოსალოდნელი ზარალის კოეფიციენტებზე დაკვირვების შედეგად მიღებულ დასკვნებს. ანგარიშგების თარიღისთვის კომპანია ატარებს ადეკვატურობის შემოწმებას წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომელსაც არსებული ტენდენციებისა და სხვა აქტუარული ფაქტორების შესაბამისად აკორექტირებს. ანალიზი ეყრდნობა იმ დროისთვის ცნობილ ფაქტებსა და გარემოებებს, სამომავლო მოვლენების პროგნოზს, მოსალოდნელი ინფლაციის შეფასებასა და სხვა სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებს. მოთხოვნების სიხშირის, მასშტაბისა და მათ შესახებ დაგვიანებული გაცხადების ტენდენციები იმ ფაქტორების მაგალითია, რომლებიც მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვების პროგნოზირებისთვის გამოიყენება შემოწმების მიზნებისთვის. თუ კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად გამოთვლილი მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი ადეკვატურობის შემოწმების შედეგზე დაბალია, ანგარიშგების თარიღისთვის დამატებითი რეზერვი შეიქმნება მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალისთვის.

გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი

შემდგომ პერიოდებს მიკუთვნებული მოზიდული პრემიის წილი გადავადდება, როგორც გამოუმუშავებელი პრემია. გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში ცვლილება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში შედის მაშინ, როდესაც ხდება შემოსავლის აღიარება რისკის არსებობის პერიოდში, ან, ანუიტეტების შემთხვევაში, მოსალოდნელი სადაზღვევო გადახდების ოდენობის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების შემთხვევაში, ამას აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

კომპანიის ფინანსურ ვალდებულებებში შედის სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები, საბანკო სესხები, ოვერდრაფტები და სხვა ვალდებულებები.

პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხორციელდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

2. სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ამორტიზირებული ღირებულება გამოიანგარიშება ნებისმიერი დისკონტის ან შესყიდვის პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგების "საპროცენტო ხარჯის" ნაწილში.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება

გადასახდელი სადაზღვევო ანაზღაურება

გადასახდელი სადაზღვევო ანაზღაურების აღიარება ხდება მათი დაფარვის თარიღით და ფასდება მიღებული საზღაურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება მასთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

გადასახდელი სადაზღვევო ანაზღაურების აღიარების შეწყვეტა

გადასახდელი სადაზღვევო ანაზღაურების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ვალდებულებით გათვალისწინებული დავალიანება იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

ანარიცხები

რეზერვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა ამ ვალდებულებების დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელია.

სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალის აღიარება ხდება თვითღირებულებით. აქტივების სახით შეტანილი კაპიტალი აღირიცხება შეტანის თარიღისთვის ამ აქტივების სამართლიანი ღირებულებით.

დივიდენდები

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

2. სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება ან თუ ისინი შეთავაზებული ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდეგ, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

შემოსავლის აღიარება

პრემიების მთლიანი თანხა

სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებიდან მიღებული პრემიების აღიარება ხდება შემოსავლის სახით მაშინ, როდესაც სადაზღვევო პოლისის მფლობელებს მათი გადახდა უწყევთ. ერთჯერადი გადახდის პირობის მქონე ხელშეკრულებების შემთხვევაში ეს არის პოლისის ძალაში შესვლის თარიღი, ხოლო რეგულარული გადახდების პირობის მქონე ხელშეკრულებების შემთხვევაში მისაღები პრემიები აღირიცხება იმ თარიღით, როდესაც მათი გადახდის დრო დგება.

ზოგადი დაზღვევის მთლიანი მოზიდული პრემია მოიცავს მთელი სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მისაღებ მთლიან პრემიას, რომელიც გათვალისწინებულია სააღრიცხვო პერიოდში გაფორმებული ხელშეკრულებით. მათი აღიარება ხდება პოლისის დაწყების დღეს. პრემიები მოიცავს სააღრიცხვო პერიოდში მისაღებ პრემიებში შესულ კორექტივებს წინა სააღრიცხვო პერიოდების მოზიდულ პრემიებთან მიმართებაში.

გამოუმუშავებელი პრემია არის წლის განმავლობაში მოზიდული პრემიების ის ნაწილი, რომელიც უკავშირდება ანგარიშგების თარიღის შემდგომ რისკის პერიოდებს. გამოუმუშავებელი პრემია ყოველდღიურად პროპორციული წესით გამოიანგარიშება. პრემიათა შემდგომ პერიოდებს მიკუთვნებული ნაწილი გადავადდება, როგორც გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი.

გადაცემული პრემიები

გადაცემულ გადაზღვევასთან დაკავშირებით გადასახდელი პრემიების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც გაფორმდა გადაზღვევის ხელშეკრულება და მოიცავს გაანგარიშებას, რომელშიც თანხები არ არის განსაზღვრული ანგარიშგების თარიღისთვის. პრემიების ხარჯად აღიარება ხდება გადაზღვევის ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და ძირითადად ყოველდღიურად, პროპორციული წესით გამოითვლება.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

2. სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გასამრჯელო და საკომისიო შემოსავალი

სადაზღვევო პოლისის მფლობელები იხდიან პოლისის მომსახურების ღირებულებასა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა გასამრჯელოებს. ამ გასამრჯელოების აღიარება ხდება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია. თუ გასამრჯელო უკავშირდება მომავალ პერიოდში გასაწევ მომსახურებას, ხდება მათი გადავადება და აღიარება მომავალ პერიოდებში.

შემოსავალი გაწეული სამედიცინო მომსახურებიდან

შემოსავლების ასახვა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებელის შემოძინების ალბათობა მაღალია. ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების სანდო შეფასება დარიცხვის მეთოდით. როდესაც მომსახურების გაწევა ხდება არაერთგვაროვანი პროდუქტების ან მომსახურების სანაცვლოდ, შემოსავლის შეფასება ხდება მიღებული საქონლისა თუ სერვისის სამართლიანი ღირებულებით, რომელიც კორექტირდება გადაცემული ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ოდენობით. თუ მიღებული საქონლის ან მომსახურების სამართლიანი ღირებულების სარწმუნოდ შეფასება შეუძლებელია, შემოსავლები ფასდება დათმობილი საქონლისა თუ მომსახურების სამართლიანი ღირებულებით, რომელიც კორექტირდება გადაცემული ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ოდენობით.

მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღრიცხული რეალიზებული შემოსულობა და ზარალი

ძირითადი საშუალებების გაყიდვის შედეგად რეალიზებული შემოსულობა და ზარალი გამოითვლება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და თავდაპირველ ან ამორტიზებულ ღირებულებას შორის. რეალიზებული შემოსულობისა და ზარალის აღიარება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ხდება მაშინ, როდესაც შედგება გაყიდვის ოპერაცია.

სარგებლის, მოთხოვნებისა და ხარჯების აღიარება

სიცოცხლის დაზღვევასთან დაკავშირებული მოთხოვნები ასახავს წლის განმავლობაში მომხდარი სადაზღვევო შემთხვევების საერთო ხარჯს, მათ შორის ზარალის რეგულირებაზე გაწეულ დანახარჯებს. გარდაცვალებისა და პოლისის შეწყვეტის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნები აღირიცხება მიღებული შეტყობინებების საფუძველზე. გადახდის ვადები და ანუიტეტური შენატანები აღირიცხება მათი დაფარვის შესაბამისი თარიღებით. აღრიცხული სარგებელი შემდეგ დაირიცხება ვალდებულების სახით.

ზოგადი სადაზღვევო მოთხოვნები მოიცავს წლის განმავლობაში მომხდარ და გაცხადებულ ან განუცხადებელ ზარალს, მათ შორის ამ ზარალის დარეგულირების ხარჯებს და ნარჩენი ან სხვა სალიკვიდაციო ღირებულებების შემცირებას, ასევე გასული წლების მოთხოვნებში შესულ კორექტივებს.

ზარალის დარეგულირების ხარჯებში შედის ყველა შიდა და გარე დანახარჯი, რომელიც გაწეულია სადაზღვევო მოთხოვნებთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებზე და ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. შიდა დანახარჯები მოიცავს სადაზღვევო მოთხოვნების მიმღები განყოფილების ყველა პირდაპირ ხარჯს და ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯების ამ განყოფილებისთვის მიკუთვნებულ ნაწილს.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

2. სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გადაზღვევის მოთხოვნები

გადაზღვევის მოთხოვნების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებული მთლიანი სადაზღვევო მოთხოვნები აღიარდება შესაბამისი ხელშეკრულების პირობების თანახმად.

საპროცენტო ხარჯი

გადახდილი პროცენტის აღიარება დარიცხვისტანავე ხდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში და გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული პროცენტი შედის პროცენტიანი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაში.

2.4. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში

ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

ქვემოაღნიშნულ სტანდარტებსა და ფასს-ში შეტანილ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაზე, ფინანსურ მდგომარეობასა თუ შედეგებზე.

შესწორებული ბასს 24 "დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები"

შესწორებული ფასს 1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“

ბასს 32 ფინანსური ინსტრუმენტები: "წარდგენა – უფლებების ემისიის კლასიფიკაცია"

ფაისკ 14 "წინასწარ გადახდილი დაფინანსების მინიმალური მოთხოვნები"

ფაისკ 19 "ფინანსური ვალდებულებების დაფარვა წილობრივი ინსტრუმენტებით"

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

2. სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.4. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

2009 წლის მაისში გამოშვებული ცვლილებები ფასს-ში

- ფასს 1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“
- ფასს 3 "საწარმოთა გაერთიანება"
- ფასს 7 "შენიშვნების განმარტება"
- ბასს 1 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა
- ბასს 27 კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
- ფასს 13 "მომხმარებელთა წახალისების პროგრამები"

2.5. გამოცემული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ფასს 9 "ფინანსური ინსტრუმენტები"

2009 წლისა და 2010 წლის ნოემბერში ბასსს-მ გამოაქვეყნა ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტების“ პირველი ფაზა. ეს სტანდარტი საბოლოოდ ჩაანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“. ფასს 9 ძალაში შევა 2013 წლის 1 იანვრის შემდგომი პერიოდებისათვის. ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტების“ პირველი ფაზა ითვალისწინებს ახალ მოთხოვნებს ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებასთან დაკავშირებით. კერძოდ, შემდგომი შეფასებისთვის ყველა ფინანსური აქტივი უნდა აისახოს ამორტიზებული ან სამართლიანი ღირებულებით და აისახოს მოგებაში ან ზარალში. არასავაჭროდ არსებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და აისახება სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებების შემთხვევაში ფასს 9 მოითხოვს, რომ სამართლიან ღირებულებაში საკრედიტო რისკის შეცვლით გამოწვეული ცვლილებები აისახოს სხვა სრულ შემოსავალში. ჯგუფი ამ ეტაპზე აფასებს ახალი სტანდარტის მიღებასთან დაკავშირებულ შედეგებს და განიხილავს სტანდარტის მიღების თარიღს.

ფასს 10 „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“

ფასს 10-ის მიხედვით კონტროლის სისტემის ერთი მოდელი ვრცელდება ყველა კომპანიაზე, მათ შორის სპეციალური დანიშნულების კომპანიებზეც. ბასს 27-ის მოთხოვნებისგან განსახვავებით, ფასს 10-ში ცვლილებების შედეგად ხელმძღვანელობას მოუწევს დიდწილად თავად განსაზღვროს, რომელი კომპანიები ექვემდებარება კონტროლს და შესაბამისად, რომელი კომპანიების კონსოლიდირება უნდა მოახდინოს მშობელმა კომპანიამ. გარდა ამისა, ფასს 10-ს ერთვის სააგენტო ურთიერთობების შემთხვევაში მისი გამოყენების შესახებ გარკვეული მითითებები. ფასს 10 ნაწილობრივ ჩაანაცვლებს ბასს 27-ს „კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება“, რომელიც ეხება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აღრიცხვას და ასევე მოიცავს იმკ-12-ში „კონსოლიდაცია - სპეციალური დანიშნულების ეკონომიკური სუბიექტები“ წამოყენებულ საკითხებს. იგი ძალაში შედის 2013 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ვადაზე ადრე გამოყენება დასაშვებია. ამ ეტაპზე ჯგუფი აფასებს ფასს 10-ის მიღების შესაძლო შედეგებს თავის ფინანსურ მდგომარეობას და შედეგებზე.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

2. სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.5. გამოცემული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ფასს 11 „ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობა“

ფასს 11-ით გაუქმებულია ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოების პროპორციული კონსოლიდაციის მეთოდით აღრიცხვა. ამის ნაცვლად ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოები, რომლებიც ერთობლივი საწარმოს განმარტებას აკმაყოფილებს, უნდა აღირიცხოს კაპიტალ-მეთოდით. ფასს 11 ჩაანაცვლებს ბასს 31-ს

„ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობა“ და იმკ 13-ს „ერთობლივად კონტროლირებადი ერთეულები - კონტროლის უფლების მქონე ინვესტიორების არაფულადი შენატანები“ და ძალაშია 2013 წლის 1 იანვრის შემდგომი წლიური პერიოდებისთვის. ვადაზე ადრე გამოყენება დასაშვებია. ჯგუფს მიაჩნია, რომ ფასს 11-ის მიღება გავლენას არ მოახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე.

ფასს 12 „სხვა ეკონომიკურ ერთეულებში ინვესტიციის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა“

ფასს 12 მოიცავს ინფორმაციის წარმოდგენის ყველა იმ მოთხოვნას, რომლებსაც აქამდე ითვალისწინებდა ბასს 27 კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებისთვის და ასევე ბასს 31 და ბასს 28. ეს მოთხოვნები ეხება კომპანიის წილობრივ მონაწილეობას შვილობილ კომპანიებში, ერთობლივ საწარმოებში, მეკავშირე და სტრუქტურირებულ ერთეულებში. დამატებულია გარკვეული ახალი მოთხოვნებიც. ფასს 12 მოქმედებს 2013 წლის 1 იანვრის შემდგომი წლიური პერიოდებისთვის. ვადაზე ადრე გამოყენება დასაშვებია. სტანდარტის მიღება მოითხოვს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ახალი განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, თუმცა გავლენას არ მოახდენს მის ფინანსურ მდგომარეობაზე ან შედეგებზე.

ფასს 13 „სამართლიანი ღირებულებით შეფასება“

ფასს 13 სამართლიანი ღირებულებით ყველა იმ შეფასებისთვის, რომლებიც ფასს-ის შესაბამისად ტარდება, ერთიან მეთოდს განსაზღვრავს. ფასს 13 არ ცვლის სამართლიანი ღირებულებით შეფასების აუცილებლობის დადგომის წესს, იგი მხოლოდ ფასს-ის შესაბამისად სამართლიანი ღირებულებით შეფასების მეთოდიკას განსაზღვრავს, როდესაც სამართლიანი ღირებულება აუცილებელი ან ნებადართულია. ფასს 13 ძალაშია 2013 წლის 1 იანვრის შემდგომი წლიური პერიოდებისთვის. ვადაზე ადრე გამოყენება დასაშვებია. ფასს 13-ის მიღებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ბანკის ჯგუფის სამართლიანი ღირებულებით აღრიცხულ აქტივებსა და ვალდებულებებზე. ამ ეტაპზე ჯგუფი აფასებს ფასს 13-ის მიღების შესაძლო შედეგებს თავის ფინანსურ მდგომარეობას და შედეგებზე.

ბასს 27 „ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება“ (2011 წლის რედაქციით)

ახალი ფასს 10-ისა და ფასს 12-ის მიღების შედეგად, ბასს 27-ს რჩება მხოლოდ შვილობილი, ერთობლივად კონტროლირებადი და მეკავშირე კომპანიების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება. ცვლილება ძალაშია 2013 წლის 1 იანვრის შემდგომი წლიური პერიოდებისთვის.

ბასს 28 „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“ (2011 წლის რედაქციით)

ახალი ფასს 11-ისა და ფასს 12-ის მიღების შედეგად ბასს 28-ს დაერქვა ბასს 28 „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“ და აღწერს კაპიტალ-მეთოდის გამოყენებას მეკავშირე კომპანიებსა და ერთობლივ საწარმოებში ინვესტიციების დროს. ცვლილება ძალაშია 2013 წლის 1 იანვრის შემდგომი წლიური პერიოდებისთვის.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

2. სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.5. გამოცემული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ცვლილებები ფასს 7-ში “ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები”

ცვლილებები 2010 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა და ძალაშია 2011 წლის 1 ივლისის შემდგომი წლიური პერიოდებისთვის. ცვლილების მიხედვით სავალდებულოა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა იმ ფინანსური აქტივების შესახებ, რომლებიც გადაცემულია, მაგრამ მათი აღიარება არ შეწყვეტილა, რათა ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს წარმოდგენა შეეძინა ამ აქტივებს, რომელთა აღიარებაც არ შეწყვეტილა, და მათთან დაკავშირებულ ვალდებულებებს შორის დამოკიდებულებაზე. ამასთანავე, ცვლილება მოითხოვს იმ აქტივების, რომელთა აღიარებაც შეწყვეტილია, შემდგომი მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენას, რათა მომხმარებელს ამ აქტივებში კომპანიის შემდგომი მონაწილეობის ხასიათისა და მასთან დაკავშირებული რისკების შეფასების საშუალება ჰქონდეს. ცვლილება ეხება მხოლოდ ინფორმაციის წარმოდგენის წესს და არ აისახება ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ან შედეგებზე.

ცვლილებები ბასს 12-ში “მოგებიდან გადასახადები” – გადავადებული გადასახადი: შესაბამისი აქტივების ამოღება”

2010 წლის დეკემბერში ბასსს-მა გამოაქვეყნა ბასს 12-ში შესული ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2012 წლის 1 იანვრის შემდგომი პერიოდებისთვის. ცვლილებები ეხება სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ საინვესტიციო ქონებაზე გადავადებული გადასახადის განსაზღვრას. ცვლილება შეიცავს ვარაუდს, რომ ბასს 40-ის სამართლიანი ღირებულების მეთოდით შეფასებულ საინვესტიციო ქონებაზე გადავადებული გადასახადი უნდა განისაზღვრებოდეს იმის გათვალისწინებით, რომ მისი საბალანსო ღირებულება რეალიზაციით იქნება ამოღებული. ამასთანავე, ცვლილება აყენებს მოთხოვნას, რომ ბასს 16-ის გადაფასების მეთოდით შეფასებულ არაფასად აქტივებზე გადავადებული გადასახადი ყოველთვის უნდა განისაზღვროს აქტივის რეალიზაციის გათვალისწინებით. ჯგუფი აფასებს ამ ცვლილებების შემოღებით გამოწვეულ შედეგებს.

ცვლილებები ბასს 19-ში „დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები“

ბასსს-მა გამოაქვეყნა ბასს 19-ში „დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები“ შესული ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2013 წლის იანვრის შემდგომი წლიური პერიოდებისთვის. ამის შედეგად არსებითად შეიცვალა დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების აღრიცხვა, მათ შორის გაუქმდა საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამის აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებების გადავადებული აღიარების შესაძლებლობა (ე.წ. „დერეფნის პრინციპი“). ამასთანავე, შეიზღუდება ცვლილებები წმინდა საპენსიო აქტივში (ვალდებულებაში), რომელიც ნაღირებია მოგებაში ან ზარალში წმინდა საპროცენტო შემოსავლის (ხარჯის) და მომსახურების დანახარჯების ნაწილში. ჯგუფის მოლოდინით ეს ცვლილებები არ მოახდენს გავლენას ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

2. სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.5. გამოცემული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ცვლილებები ბასს 1-ში „ცვლილებები სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების წარდგენაში“

ბასს 1-ში „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ შესული შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2012 წლის 1 ივლისის შემდგომი პერიოდებისთვის, სხვაგვარად აჯგუფებს სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში წარმოდგენილ მუხლებს. მუხლები, რომელთა მოგებაში ან ზარალში რეკლასიფიკაციაც შესაძლებელია მომავალში (მაგალითად, აღიარების შეწყვეტის ან დაფარვის შემთხვევაში) წარმოდგენილი იქნება განცალკევებით იმ მუხლებისგან, რომელთა რეკლასიფიკაციაც არასდროს მოხდება. ეს ცვლილებები მხოლოდ სრული შემოსავლის ანგარიშგების წარმოდგენაზე იმოქმედებს და მის ფინანსურ მდგომარეობაზე ან შედეგებზე არ აისახება.

ცვლილებები ფასს 1-ში - "მაღალი ჰიპერინფლაცია და ფიქსირებული თარიღების გაუქმება მათთვის, ვინც პირველად იყენებს სტანდარტებს"

ამ ცვლილებების მიხედვით ფასს 1-ში, რომლებიც ძალაში შედის 2011 წლის 1 ივლისის შემდგომი წლიური პერიოდებისთვის, ის საწარმოები, რომლებიც მძლავრ ჰიპერინფლაციას განიცდიან, თავისუფლდებიან გარკვეული გადასახადებისგან დასაშვები ღირებულების ხარჯებად გაქვითვით. ჯგუფის მოლოდინით ეს ცვლილებები არ მოახდენს გავლენას ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე.

2.6. შეფასებები და დაშვებები

კონსოლიდირებული ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო გახდა გარკვეული შეფასებების და დაშვებების გამოყენება. ეს შეფასებები და დაშვებები აისახება ანგარიშგების თარიღისთვის აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე პირობითი ვალდებულებების აღრიცხულ ოდენობაზე და ასევე გავლენას ახდენს წლის გაცხადებულ შემოსავალზე და ხარჯებზე. მიუხედავად იმისა, რომ შეფასებები ეყრდნობა ხელმძღვანელობის ინფორმირებულობას და ანგარიშგების თარიღისთვის არსებული მოვლენების ანალიზს, ისინი შეიძლება ზუსტად არ ასახავდეს რეალობას.

შეფასების უზუსტობა

ანგარიშგების დღეს მომავლის შესახებ გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებების უზუსტობის სხვა ძირითადი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფისკალურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი კორექტივების შეტანის აუცილებლობა გამოიწვიოს, განხილულია ქვემოთ:

სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულება

სიცოცხლის და ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულების საერთო მოცულობა კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებაა. არსებობს უზუსტობის რამდენიმე მიზეზი, რისი გათვალისწინებაც აუცილებელია კომპანიის მიერ ამ ზარალის ასანაზღაურებლად გადახდილი ვალდებულების შეფასებისას.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

2. სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.6. შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ა) სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებები

სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებების შემთხვევაში ზარალის ანაზღაურების ვალდებულება არ არსებობს ანგარიშგების თარიღისთვის, რადგანაც სიცოცხლის დაზღვევის ერთადერთი პროდუქტი არის განახლებადი წლიური სადაზღვევო ხელშეკრულება, რომელიც ბენეფიციარს გადაუხდის ფიქსირებულ თანხას დაზღვეული პირის გარდაცვალებიდან ერთი წლის განმავლობაში.

ბ) ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებები

ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებების შემთხვევაში, უნდა გაკეთდეს შეფასებები როგორც ანგარიშგების თარიღისთვის გაცხადებული ზარალის მოსალოდნელი ოდენობის, ისე ანგარიშგების თარიღისთვის მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის მოსალოდნელი საერთო მოცულობის შესახებ. ზარალის საერთო მოცულობის საიმედოდ განსაზღვრას შეიძლება საკმაოდ დიდი დრო დასჭირდეს და, ზოგიერთი პოლისის შემთხვევაში მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ზარალის რეზერვების უმეტეს ნაწილს შეადგენს. ზოგად დაზღვევასთან დაკავშირებული ზარალის რეზერვის დისკონტირება არ ხდება ფულის დროითი ღირებულების გასათვალისწინებლად.

სადაზღვევო დებიტორული დავალიანებისა და გადაზღვევის აქტივების გაუფასურების რეზერვი

კომპანია რეგულარულად აფასებს თავისი სადაზღვევო დებიტორული დავალიანებისა და გადაზღვევის აქტივების გაუფასურებას. ამისათვის ყოველთვის გამოიყენებოდა რეზერვის შექმნის მეთოდოლოგია.

სააღრიცხვო მიზნებისთვის კომპანია ფინანსური აქტივების გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღიარებისთვის იყენებს განცდილი ზარალის მოდელს. რაც იმას ნიშნავს, რომ ზარალის აღიარება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კონკრეტული ზარალის დადგომის შემთხვევის ობიექტური მტკიცებულება. გამომწვევ მიზეზებს შორისაა კლიენტის ფინანსური სირთულეები და/ან ხელშეკრულების პირობების, მაგალითად გადახდის პირობის დარღვევა.

სააღრიცხვო მიზნებისთვის კომპანია ფინანსური აქტივების გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღიარებისთვის იყენებს განცდილი ზარალის მოდელს. რაც იმას ნიშნავს, რომ ზარალის აღიარება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კონკრეტული ზარალის დადგომის შემთხვევის ობიექტური მტკიცებულება. გამომწვევ მიზეზებს შორისაა კლიენტის ფინანსური სირთულეები და/ან ხელშეკრულების პირობების, მაგალითად გადახდის პირობის დარღვევა.

რეზერვის მოცულობა მცირდება დებიტორული დავალიანების იმ თანხით, რომელიც ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს ფორმალურად აკმაყოფილებს, მაგრამ რომელთან მიმართებაშიც კომპანიას საკმარისი მიზეზი აქვს მიიჩნიოს, რომ დავალიანების ამ ოდენობას ამოიღებს.

ამ მიდგომას ამყარებს მოთხოვნების ამოწურვის ანალიზიც. ხელმძღვანელობის განსჯით ტენდენციები მომავალში არ შეიცვლება და ამ მეთოდის გამოყენება შეიძლება ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის ამოღებადი დავალიანების მოცულობის შესაფასებლად.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

2. სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.6. შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

უიმედო თანხები და გარკვეული საკრედიტო რისკები ჩამოიწერება პირდაპირ მთლიანი (ბრუტო) პრემიებიდან გამოქვითვით. წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით გაუფასურების რეზერვების შექმნა აუცილებელია პოლისის მფლობელებისგან, პირდაპირი დაზღვევის აგენტების/ბროკერებისგან და გადაზღვევის კონტრაქტებისგან მისაღები თანხებისთვის.

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე დამოუკიდებელი პროფესიონალი შემფასებლების მიერ. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გაყიდვების შედარების მეთოდით მიახლოებითი ღირებულება შემდგომ შეიცვლება ახალი ტრანზაქციების შესახებ მიღებული ინფორმაციისა და ახალი საბაზრო მონაცემების მიხედვით.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

3. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების დინამიკა ასეთი იყო:

	მიწა და შენობა- ნაგებობები	ავტოსატრან- სპორტო საშუალებები	სამედიცინო აღჭურვი- ლობა	ავიჯი და მოწყობი- ლობები	საიჯარო ქონების გაუმჯობესება	დაუმთავრე- ბელი მშენებლობა	სულ
მთლიანი							
31 დეკემბერი							
2010 წ.	79	198	–	655	751	250	1,933
შემოსვლები	2,050	270	2,669	852	302	7,044	13,187
შიდა გადაცემები	6,174	–	–	–	–	(6,174)	–
გასხვისება და ჩამოწერა	–	(35)	–	–	–	–	(35)
31 დეკემბერი,	8,303	433	2,669	1,507	1,053	1,120	15,085
2011 წ.							
აკუმულირებული							
ცვეთა	–	54	–	261	169	–	484
31 დეკემბერი							
2010 წ.							
ცვეთის დანარიცხი	85	72	88	224	148	–	617
გასხვისება და ჩამოწერა	–	(5)	–	–	–	–	(5)
31 დეკემბერი,	85	121	88	485	317	–	1,096
2011 წ.							
წმინდა							
საბალანსო							
ღირებულება							
31 დეკემბერი	79	144	–	394	582	250	1,449
2010 წ.							
31 დეკემბერი,	8,218	312	2,581	1,022	736	1,120	13,989
2011 წ.							

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

3. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

	მიწა და შენობა- ნაგებობები	ავტოსატრან- სპორტო საშუალებები	სამედიცინო აღჭურვი- ლობა	ავეჯი და მოწყობი- ლობები	საიჯარო ქონების გაუმჯობესება	დაუმთავრე- ბელი მშენებლობა	სულ
მთლიანი							
31 დეკემბერი,							
2009 წ.	747	113	–	505	359	–	1,724
შემოსვლები	60	102	–	162	392	250	966
გასხვისება და ჩამოწერა	(728)	(17)	–	(12)	–	–	(757)
31 დეკემბერი	79	198	–	655	751	250	1,933
2010 წ.							
აკუმულირებული							
ცვეთა	20	26	–	142	112	–	300
31 დეკემბერი,							
2009 წ.							
ცვეთის							
დანარიცხი	8	28	–	127	57	–	220
გასხვისება და ჩამოწერა	(28)	–	–	(8)	–	–	(36)
31 დეკემბერი	–	54	–	261	169	–	484
2010 წ.							
წმინდა							
საბალანსო							
ღირებულება							
31 დეკემბერი,	727	87	–	363	247	–	1,424
2009 წ.							
31 დეკემბერი	79	144	–	394	582	250	1,449
2010 წ.							

2011 წლის განმავლობაში დაარსებულ საავადმყოფოებთან დაკავშირებული ქონების შემოსულობა მოიცავს 12,142 ლარს.

9,423 ლარის საბალანსო ღირებულების ქონება ექვემდებარება პირველი რიგის იპოთეკას ფინანსური ვლადებულებების დასაკმაყოფილებლად (შენიშვნა 15).

სამედიცინო აღჭურვილობასა და ავტოსატრანსპორტი მოიცავს მთავრობის მიერ 2011 წელს გადაცემულ ქონებას, რომლის საბალანსო ღირებულებაც 200 ლარია (2010 წ: ნული).

2012 წლის 1 აპრილს დაარსებულ საავადმყოფოსთან დაკავშირებული დაუმთავრებელი მშენებლობა მოიცავს 1,120 ლარს.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

4. საინვესტიციო ქონება

	<i>2011</i>	<i>2010</i>
1 იანვრის მდგომარეობით	–	–
შემოსვლები	281	–
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული შემოსულობა და ზარალი (შენიშვა 20)	980	–
31 დეკემბრის მდგომარეობით	1,261	–

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საინვესტიციო ქონება მოიცავს მიწას, რომლის სამართლიანი ღირებულებაც 1,261 ლარია. 31 დეკემბრის მდგომარეობით მიწის სამომავლო გამოყენება განსაზღვრული არ არის.

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება მიღებულია 2011 წლის 28 ოქტომბერს კომპანიისგან დამოუკიდებელი შემფასებლის - შპს "ჯორჯიან აუდიტის" მიერ ჩატარებული შეფასების შედეგად. შპს "ჯორჯიან აუდიტს" გააჩნია შესაბამისი ადგილმდებარეობის უძრავი ქონების შეფასების სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება. გამოთვლები ჩატარდა მსგავს ქონებებზე გარიგების ფასების საბაზრო მონაცემებზე დაყრდნობით.

შეფასების თარიღისთვის (2011 წლის 28 ოქტომბერი) და 2011 წლის 31 დეკემბრისთვის ქონების სამართლიანი ღირებულება მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

5. სესხები და მისაღები ანგარიშები

31 დეკემბრის მდგომარეობით სესხები და მისაღები ანგარიშები მოიცავდა შემდეგს:

	2011	2010
სესხები და მისაღები ანგარიშები	332	2,146
გამოკლებული - გაუფასურების რეზერვი (შენიშვნა 11)	(44)	–
სესხები და მისაღები ანგარიშები, სულ	288	2,146

სესხებზე მისაღები გადახდები (ძირითადი თანხა და პროცენტი ამორტიზებული ღირებულებით) მოიცავს შემდეგს:

აღწერა	2011	2010	გაცემის თარიღი
იურიდიულ პირზე გაცემული სესხები	276	276	2010
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	12	1,375	2009
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	–	493	2009
სხვა სესხები და სხვა მისაღები ანგარიშები	–	2	2010
	288	2,146	

იურიდიულ პირზე გაცემული სესხების წლიური საპროცენტო განაკვეთია 16% (2010: 16%), ხოლო ვადა - 1,095 დღე. ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების წლიური საპროცენტო განაკვეთი 16%-ია (2010: 16%), ხოლო ვადა - 730 დღე.

სესხებისა და მისაღები ანგარიშების საბალანსო ღირებულება ანგარიშგების თარიღისთვის უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

სესხებისა და მისაღების ანგარიშების ძირითადი თანხების ნაშთები არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული.

6. მოგების გადასახადის ხარჯი

მოგების გადასახადის ხარჯი შედგება შემდეგისგან:

	2011	2010
მიმდინარე გადასახადის კრედიტი/ხარჯი	(261)	1,269
გადავადებული საგადასახადო კრედიტი - დროებითი სხვაობების წარმოშობა და აღდგენა	(176)	(811)
მოგების გადასახადის სარგებელი/(ხარჯი)	(437)	458

საქართველოში იურიდიულმა პირებმა ინდივიდუალური საგადასახადო დეკლარაციები უნდა წარადგინონ. 2011 და 2010 წლებში მოგების გადასახადის განაკვეთი საქართველოში 15%-ს შეადგენდა.

მოგების გადასახადის ეფექტური განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოგების გადასახადის განაკვეთისგან. 31 დეკემბრის მდგომარეობით კანონმდებლობით გათვალისწინებული განაკვეთების მიხედვით მოგების გადასახადის კრედიტი შესაბამისობაშია მოყვანილი გადასახადის რეალურ ოდენობასთან:

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

6. მოგების გადასახადის ხარჯი (გაგრძელება)

	2011	2010
დასაბეგრი ზარალი/(მოგება) ფასს-ის მიხედვით	1,573	(11,049)
კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი კანონმდებლობით		
გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით	(236)	1,657
მოგება, რომელიც დაბეგვრას არ ექვემდებარება	(148)	(388)
არაგამოქვითვადი ხარჯები	123	–
მოგების გადასახადის სარგებელი/(ხარჯი)	(261)	1,269

საქართველოში სახელმწიფო ორგანოების მიერ დაკისრებულ სხვადასხვა გადასახადთან დაკავშირებით რამდენიმე კანონი მოქმედებს. მათ შორისაა დამატებითი ღირებულების, მოგების და ბრუნვიდან გადასახადები. სხვა უფრო განვითარებული საბაზრო ეკონომიკებისგან განსხვავებით ამ გადასახადების შესახებ კანონები დიდი ხანი არაა, რაც მოქმედებს. ამიტომ ნორმატიული აქტები ხშირად ბუნდოვანია ან საერთოდ არ მოიძევა, და არასაკმარისი პრეცედენტი არსებობს. ამის გამო საგადასახადო რისკები საქართველოში ჩვეულებრივ გაცილებით მაღალია, ვიდრე უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემის მქონე ქვეყნებში.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია არსებითად აკმაყოფილებს იმ საგადასახადო კანონებს, რომლებიც მის საქმიანობას ეხება. ამის მიუხედავად, მაინც არსებობს იმის რისკი, რომ შესაბამისმა ორგანოებმა ამა თუ იმ კანონის სხვაგვარი ინტერპრეტაცია მოახდინონ.

კომპანიის საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები, მათ შორის არსებული და სამომავლო კანონმდებლობისა და საგადასახადო კოდექსის პრაქტიკაში განხორციელება და ინტერპრეტაცია. მსგავს მოვლენებსა და მათ შედეგებს შეიძლება გადამწყვეტი გავლენა ჰქონდეს კომპანიის საქმიანობაზე და მის ფინანსურ მდგომარეობაზე საქართველოში.

31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები შეადგენდა შემდეგს:

	2011	2010
მიმდინარე მოგების გადასახადი აქტივი	768	–
გადავადებული მოგების გადასახადი	1,143	815
სულ საგადასახადო აქტივები	1,911	815
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები	–	129
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	152	–
სულ საგადასახადო ვალდებულებები	152	129

კომპანიის მოგების გადასახადის აქტივები, მოგების გადასახადის ვალდებულება და შესაბამისი საგადასახადო სარგებელი (ხარჯი) აღრიცხულია 2010 წლის პერიოდში, რადგან 2010 წლისა და წინა პერიოდების განმავლობაში საგადასახადო დანარიცხებისა და ხარჯის განსაზღვრისთვის საკმარისი საფუძველი არ არსებობდა. ამის გამოსასწორებლად კომპანიის ხელმძღვანელობამ მოიპოვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ 2012 წლის 14 ივნისს გამოცემული სპეციალური აქტი, რომლითაც სადაზღვევო კომპანია "აი სი ჯგუფმა" მიიღო რწმუნება მასზედ, რომ საგადასახადო ორგანოებისთვის 2006 წლიდან (კომპანია 2005 წლის 10 ნოემბერს დაარსდა) 2011 წლამდე წარდგენილი ყველა საგადასახადო დეკლარაცია სწორია და რომ ამ ნაშთებსა და საგადასახადო დეკლარაციებს არ ეხება საგადასახადო ჯარიმები ან საურავები.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

7. სხვა აქტივები

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა აქტივები მოიცავდა შემდეგს:

	2011	2010
რეგრესული მოთხოვნებიდან მისაღები თანხები	1,903	919
გადახდილი ავანსები	1,466	589
წინასწარ გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	1,349	213
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	296	–
ამოღებული უზრუნველყოფა	52	75
გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები	17	33
დაკავშირებული მხარეებისგან მისაღები თანხები	–	1,009
სხვა	712	374
	5,795	3,212
გამოკლებული - რეგრესული მოთხოვნებიდან მისაღები თანხების გაუფასურების რეზერვი (შენიშვნა 11)	(905)	(601)
სხვა აქტივები	4,890	2,611

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის გადახდილი ავანსები მოიცავდა 918 ლარს (2010:0) - საავადმყოფოების მოსამზადებელი და რეკონსტრუქციული სამუშაოებისთვის გადახდილ ავანსებს.

კომპანიის მიერ წინასწარ გადახდილი გადასახადები მოიცავს შესყიდულ საქონელსა და მომსახურებაზე გადახდილ დღგ-ს 1,280 ლარის ოდენობით (2010 წ: 29 ლარი), რომელიც, 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს "ალიანს მედი+"-ს მიეწერება.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები გულისხმობს 2011 წლის განმავლობაში დაარსებული საავადმყოფოების სამედიცინო საქონლის მარაგებს.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

8. მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან

31 დეკემბრის მდგომარეობით მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან მოიცავდა შემდეგს:

	2011	2010
პოლისების მფლობელებისგან მისაღები თანხები	18,356	17,670
გადამზღვევლებისგან მისაღები თანხები	64	595
	18,420	18,265
გამოკლებული - გაუფასურების რეზერვი (შენიშვნა 11)	(3,725)	(5,389)
სულ მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	14,695	12,876

ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები უახლოვდება სამართლიან ღირებულებებს წლის ბოლოსთვის.

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაუფასურების რეზერვი მთლიანადაა განკუთვნილი პოლისების მფლობელებისგან მისაღები თანხებისთვის (2010: პოლისების მფლობელებისგან მისაღები თანხები 4,794 ლარის ოდენობით; გადამზღვევლებისგან მისაღები თანხები 595 ლარი).

9. საკრედიტო ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები

31 დეკემბრის მდგომარეობით საკრედიტო ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები:

	2011	2010
საკრედიტო ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები:		
- სს „ჰალივ ბანკი საქართველო“	4,139	4,331
- სს „კორ სტანდარტ ბანკი“	3,619	3,751
- სს „ვითიბი ბანკი“	1,682	2,829
- სს „პრივატ ბანკი“	2,320	2,143
- სს „თიბისი ბანკი“	–	1,773
სულ საკრედიტო ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები	11,760	14,827

საკრედიტო ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები წარმოდგენილია საქართველოს ბანკებში მოკლე- (სამი თვიდან ერთ წლამდე) და საშუალოვადიანი განთავსებებით, რომლებზეც მიიღება 8.25%-დან 12%-მდე წლიური პროცენტი (2010 - 5.5%-დან 13.5%-მდე).

საკრედიტო ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები 5,899 ლარის ოდენობით (2010 - 8,077 ლარი) გამოიყენება კომპანიის ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფისთვის (შენიშვნა 16).

საკრედიტო ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები მოიცავს 3,179 ლარის ოდენობის დეპოზიტებს, რომლებზეც წვდომა შეზღუდულია მინიმალური სავალდებულო კაპიტალის მოთხოვნების შესაბამისად.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

10. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

31 დეკემბრისთვის ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები მოიცავს შემდეგს:

	<i>2011</i>	<i>2010</i>
ნაღდი ფულის ნაშთი კომპანიაში	88	50
მოკლევადიანი დეპოზიტები	1,616	2,172
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	1,704	2,222

მიმდინარე ანგარიშები მოიცავს სს „თიბისი ბანკში“ განთავსებულ 1,002 ლარს, სს „ვითიბი ბანკში“ განთავსებულ 371 ლარს (2010: 378 ლარი), სს „ლიბერთი ბანკში“ განთავსებულ 158 ლარს (2010: 338 ლარი), სს „პრივატ ბანკში“ განთავსებულ 3 ლარს (2010: 954 ლარი) და სხვა ბანკებში 87 ლარს (2010: 502 ლარი) ოდენობის თანხებს.

ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები უახლოვდება სამართლიან ღირებულებებს ანგარიშგების თარიღისთვის.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

11. გაუფასურების რეზერვი და ანარიცხები

მომრაობა დაზღვევიდან და გადაზღვევიდან მოთხოვნების, სესხებზე მისაღები გადახდებისა და რეგრესული მოთხოვნებიდან მისაღები თანხების რეზერვში ასეთია:

	<i>მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან (შენიშვნა 8)</i>	<i>სესხებზე მისაღები გადახდები (შენიშვნა 5)</i>	<i>რეგრესული მოთხოვნებიდან მისაღები თანხები (შენიშვნა 7)</i>	<i>სულ</i>
2009 წლის 31 დეკემბრის				
მდგომარეობით				
(არააუდიტირებული)	919	–	–	919
დანარიცხი (არააუდიტირებული)	4,470	–	601	5,071
31 დეკემბერი 2010 წ.	5,389	–	601	5,990
დანარიცხი	1,403	44	364	1,811
ჩამოწერები	(3,067)	–	(60)	(3,127)
31 დეკემბერი, 2011 წ.	3,725	44	905	4,674

აქტივების გაუფასურების რეზერვი გამოიქვითება შესაბამისი აქტივების საბალანსო ღირებულებიდან.

12. საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი აქციონერებმა შეავსეს ლარში. დივიდენდების გადახდა და კაპიტალის ყოველგვარი განაწილება მოხდება ლარში. 2011 წელს დივიდენდები არ გამოცხადებულა.

2010 წელს გამოცხადდა 6,079 ლარის დივიდენდები. ზემოაღნიშნული თანხიდან 429 ლარია დასაფარი 2010 წლის 31 დეკემბრისთვის, საიდანაც 417 ლარი განაწილდა 2011 წლის განმავლობაში.

სავალდებულო კაპიტალის მოთხოვნებს საქართველოში აწესებს საქართველოს ეროვნული ბანკი. ეს მოთხოვნები კომპანიაზე ინდივიდუალურად ვრცელდება. საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნის თანახმად, კომპანიამ 1,500 ლარის ოდენობის მინიმალური კაპიტალი უნდა შეინარჩუნოს, აქედან 80% - საკრედიტო ინსტიტუტებისგან მისაღები თანხების ანგარიშზე. 2011 წლის 31 დეკემბრისთვის სადაზღვევო კომპანია შპს "აი სი ჯგუფი" აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის მინიმალური სავალდებულო კაპიტალის მოთხოვნას.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

13. სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები

31 დეკემბრის მდგომარეობით სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები მოიცავდა შემდეგს:

	2011	2010
სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები		
- გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვი	15,172	12,989
- პოლისების მფლობელთა მიერ გაცხადებული ზარალის რეზერვი	28,450	2,436
- მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი	1,285	1,202
- ზარალის რეგულირების ხარჯების რეზერვი	133	–
სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, სულ	45,040	16,627
გადაზღვევის აქტივები		
- გადამზღვევლების წილი გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვში	4,708	3,416
- გადამზღვევლების წილი პოლისების მფლობელთა მიერ გაცხადებული ზარალის რეზერვში	25,691	306
- გადამზღვევლების წილი მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვში	–	–
- ზარალის რეგულირების ხარჯების რეზერვი	–	–
სულ გადაზღვევის აქტივები	30,399	3,722
სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები გადაზღვევის გამოკლებით		
- გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვი	10,464	9,573
- პოლისების მფლობელთა მიერ გაცხადებული ზარალის რეზერვი	2,759	2,130
- მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი	1,285	1,202
- ზარალის რეგულირების ხარჯების რეზერვი	133	–
სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები გადაზღვევის გამოკლებით, სულ	14,641	12,905

2011 წლის 31 დეკემბრისთვის პოლისების მფლობელთა მიერ გაცხადებული ზარალის რეზერვები 25,054 ლარს, ხოლო გადამზღვევლების წილი რეზერვებში 25,054 ლარს შეადგენდა, რაც უკავშირდებოდა საქართველოს ავიახაზების მიერ განცდილ ზარალს საჰაერო ხომალდის მფლობელის მესამე მხარისადმი სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისზე. პოლისი 100%-ით იყო გადაზღვეული სადაზღვევო პროკერთან - შპს "მარშთან" გაფორმებული გადაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

13. სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები (გაგრძელება)

სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავდა:

		2011			2010		
		სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები	გადაზღვევების წილი	შენიშვნები	სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები	გადაზღვევების წილი	შენიშვნები
სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებები	ა)	372	–	372	382	–	382
ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებები	ბ)	44,668	30,399	14,269	16,245	3,722	12,523
სულ სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები		45,040	30,399	14,641	16,627	3,722	12,905

ა) წლის განმავლობაში სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მოძრაობა ასეთი იყო:

		2011			არააუდიტირებული 2010		
		სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები	გადაზღვევების წილი	შენიშვნები	სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები	გადაზღვევების წილი	შენიშვნები
1 იანვრის მდგომარეობით		382	–	382	520	–	520
წლის განმავლობაში მოზიდული პრემიები	18	11	–	11	498	–	498
წლის განმავლობაში გამომუშავებული პრემიები		(36)	–	(36)	(509)	–	(509)
მიმდინარე წელს მომხდარი ზარალი		40	–	40	18	–	18
წლის განმავლობაში ანაზღაურებული ზარალი	21	(24)	–	(24)	(145)	–	(145)
31 დეკემბრის მდგომარეობით		372	–	372	382	–	382

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

13. სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და სადაზღვევის აქტივები (გაგრძელება)

ბ) ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ანალიზი მოცემულია ქვემოთ. ზარალის დარეგულირების ხარჯების რეზერვი შესულია სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მთლიან ვალდებულებებში.

	2011			არააუდიტირებული 2010		
	<i>სადაზღვევო ხელშეკრუ- ლებით გათვალისწი- ნებული შენიშნე- ბი</i>	<i>გადაზღვევ- ლის წილი ვალდებუ- ლებებში</i>	<i>წმინდა</i>	<i>სადაზღვევო ხელშეკრუ- ლებით გათვალისწი- ნებული ვალდებუ- ლებები</i>	<i>გადაზღვევ- ლების წილი ვალდებუ- ლებებში</i>	<i>წმინდა</i>
პოლისების მფლობელთა მიერ გაცხადებული ზარალის რეზერვი მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი	28,086	25,691	2,395	2,112	306	1,806
აუნაზღაურებელი ზარალის რეზერვი	1,285	–	1,285	1,177	–	1,177
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	(1) 29,371	25,691	3,680	3,289	306	2,983
ზარალის რეგულირების ხარჯების რეზერვი	(2) 15,164	4,708	10,456	12,956	3,416	9,540
ზოგადი დაზღვევის კონტრაქტებით გათვალისწინებული ვალდებულებები, სულ	133	–	133	–	–	–
	<u>44,668</u>	<u>30,399</u>	<u>14,269</u>	<u>16,245</u>	<u>3,722</u>	<u>12,523</u>

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

13. სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და სადაზღვევის აქტივები (გაგრძელება)

- (1) პოლისების მფლობელთა მიერ გაცხადებული ზარალის, მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის და ზარალის რეგულირების ხარჯების რეზერვების ანალიზი მოცემულია ქვემოთ:

		2011			არააუდიტირებული 2010		
		სადაზღვევო ხელშეკრუ- ლებებით გათვალისწი- ნებული		გადამზღვევ- ლის წილი	სადაზღვევო ხელშეკრუ- ლებებით გათვალისწი- ნებული		გადამზღვევ- ლის წილი
		შენიშვნა ვალდებუ- ლებები	ვალდებუ- ლებებში	წმინდა	ვალდებუ- ლებები	ვალდებუ- ლებებში	წმინდა
1 იანვრის მდგომარეობით		3,289	306	2,983	8,175	484	7,691
მიმდინარე წელს							
მომხდარი ზარალი		59,051	42,033	17,017	19,613	776	18,837
წლის განმავლობაში							
ანაზღაურებული							
ზარალი	21	(32,836)	(16,648)	(16,187)	(24,499)	(954)	(23,545)
ცვლილება ზარალის							
რეგულირების ხარჯების							
რეზერვში		(133)	–	(133)	–	–	–
31 დეკემბრის							
მდგომარეობით		29,371	25,691	3,680	3,289	306	2,983

- (2) გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვის ანალიზი მოცემულია ქვემოთ:

		2011			არააუდიტირებული 2010		
		სადაზღვევო ხელშეკრუ- ლებებით გათვალისწი- ნებული		გადამზღვევ- ლის წილი	სადაზღვევო ხელშეკრუ- ლებებით გათვალისწი- ნებული		გადამზღვევ- ლის წილი
		შენიშვნა ვალდებუ- ლებები	ვალდებუ- ლებებში	წმინდა	ვალდებუ- ლებები	ვალდებუ- ლებებში	წმინდა
1 იანვრის მდგომარეობით		12,956	3,416	9,540	34,091	6,715	27,376
წლის განმავლობაში							
მოზიდული პრემიები	18	32,576	6,913	25,663	30,701	7,103	23,598
წლის განმავლობაში							
გამომუშავებული							
პრემიები		(30,368)	(5,621)	(24,747)	(51,836)	(10,402)	(41,434)
31 დეკემბრის							
მდგომარეობით		15,164	4,708	10,456	12,956	3,416	9,540

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

13. სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები (გაგრძელება)

სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები - პირობები, დაშვებები და ცვალებადობა

(ა) სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებები

(1) პირობები

კომპანიის მიერ შეთავაზებული სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებები გულისხმობს მხოლოდ ყოველწლიურად განახლებად ჩვეულებრივ სადაზღვევო ხელშეკრულებებს, რომელთა მიხედვითაც გარდაცვალების შემთხვევაში ხდება სადაზღვევო ანაზღაურების ერთიანად გადახდა.

(2) ძირითადი დაშვებები

სიცოცხლის დაზღვევის პრემია განისაზღვრება გადამზღვეველი კომპანიის მიერ დადგენილი პრემიების მიხედვით. ასეთი ყოველწლიურად განახლებადი სადაზღვევო ხელშეკრულებების საფუძველზე დაზღვეული პირის გარდაცვალებიდან ერთი წლის განმავლობაში ერთჯერადი გადახდით გაიცემა ანაზღაურება. ანგარიშგების თარიღისთვის წლის პროპორციული პრემია, რომელიც ჯერ არ არის გამოძღვებული, გადავადებულია „სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების“ ნაწილში.

(ბ) ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებები

(1) პირობები

კომპანიის მიერ მოზიდული ზოგადი დაზღვევის პრემიების ძირითადი კატეგორიებია ტვირთების, ავტოტრანსპორტის, საყოფაცხოვრებო ნივთების, ქონების, ტვირთების ექსპედიტების პასუხისმგებლობის, პროფესიული პასუხისმგებლობის, საფინანსო დანაკარგებისგან, ჯანმრთელობის და საჰაერო ტრანსპორტის დაზღვევა. ამ პოლისების მიხედვით რისკები ჩვეულებრივ თორმეტთვიან პერიოდს ფარავს.

ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებების შემთხვევაში, ზარალის რეზერვი (რომელშიც შედის პოლისების მფლობელთა მიერ გაცხადებული და მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალები) იქმნება ვალდებულებების შესრულების საერთო ხარჯის დასაფარად იმ ზარალთან მიმართებაში, რომელიც მომხდარი და შეფასებულია ანგარიშგების დღისთვის ცნობილ ფაქტებზე დაყრდნობით.

რეზერვის გადასინჯვა ხდება ყოველთვიურად ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, რადგანაც დროთა განმავლობაში ზარალის ნაწილი რეგულირდება და ახალი ზარალის შესახებ ხდება ცნობილი. აუნაზღაურებელი ზარალის რეზერვის დისკონტირება არ ხდება ფულის დროითი ღირებულების გასათვალისწინებლად.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

13. სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები (გაგრძელება)

სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები - პირობები, დაშვებები და ცვალებადობა (გაგრძელება)

(2) დაშვებები

მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვის გაანგარიშება და ვალდებულების ადეკვატურობის შემოწმება იხილეთ 2.3 შენიშვნაში - „სააღრიცხვო პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრინციპები, სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები“

სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები საქართველოში მოზიდული დაზღვევის შემთხვევაში დიდწილად არის დამოკიდებული სავალუტო კურსის მერყეობაზე, რადგანაც დაზღვევის თანხები ამ ხელშეკრულებებში აშშ დოლარშია გამოხატული (იხილეთ სავალუტო რისკის ანალიზი 26-ე შენიშვნაში).

(3) მოსალოდნელი ზარალის შეფასების მეთოდი (ე.წ. სამკუთხედის მეთოდი)

ქვემოთ მოცემულ ორ ცხრილში წარმოდგენილია გარკვეული დროის განმავლობაში ზარალის მოცულობის ცვლილება ბრუტო და ნეტო გადაზღვევის საფუძველზე.

ცხრილები ასახავს როგორც გაცხადებული ზარალების, ისე მომხდარი, მაგრამ ჯერ განუცხადებელი ზარალების რეზერვებს და კუმულაციურ გადახდებს.

ცხრილებში პროგნოზირებული ზარალები გადაყვანილია ლარში ზარალის დადგომის წლის ბოლოსთვის მოქმედი სავალუტო კურსით.

გადაზღვევის ეფექტის გათვალისწინებამდე ზარალის შეფასების ცხრილი ასე გამოიყურება:

	2009	2010	2011
ზარალის დადგომის წელიწადი	14,997	19,675	59,051
ერთი წლის შემდეგ	20,620	21,580	–
ორი წლის შემდეგ	22,463	–	–
მომხდარი კუმულაციური ზარალის მიმდინარე შეფასება	22,463	21,580	59,051
	2009	2010	2011
ზარალის დადგომის წელიწადი	(18,358)	(18,209)	(32,836)
ერთი წლის შემდეგ	(20,043)	(20,472)	–
ორი წლის შემდეგ	(20,051)	–	–
კუმულაციური გადახდები დღევანდელ თარიღამდე	(20,051)	(20,472)	(32,836)
მთლიანი აუნაზღაურებელი ზარალის რეზერვი			
ფინანსური მდგომარეობის თითოეული			
ანგარიშგებისთვის	2,412	1,108	28,042

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

13. სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები (გაგრძელება)

გადაზღვევის ეფექტის გათვალისწინების შემდეგ ზარალის შეფასების ცხრილი ასე გამოიყურება:

	2009	2010	2011
ზარალის დადგომის წელიწადი	14,413	18,728	17,017
ერთი წლის შემდეგ	20,019	20,626	–
ორი წლის შემდეგ	22,120	–	–
მომხდარი კუმულაციური ზარალის მიმდინარე შეფასება	22,120	20,626	17,017

	2009	2010	2011
ზარალის დადგომის წელიწადი	(17,850)	(18,201)	(16,187)
ერთი წლის შემდეგ	(19,792)	(19,630)	–
ორი წლის შემდეგ	(19,902)	–	–
კუმულაციური გადახდები დღევანდელ თარიღამდე	(19,902)	(19,630)	(16,187)

ნეტო აუნაზღაურებელი ზარალის რეზერვი ფინანსური მდგომარეობის თითოეული ანგარიშგებისთვის	2,218	996	830
---	--------------	------------	------------

14. სხვა სადაზღვევო ვალდებულებები

სხვა სადაზღვევო ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავდა შემდეგს:

	2011	2010
გადაზღვევის კრედიტორული დავალიანება	4,579	5,846
გადასახდელი სადაზღვევო ანაზღაურება	3,986	2,703
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	8,565	8,549

15. ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავდა შემდეგს:

	2011	2010
საბანკო სესხები	10,333	4,852
საბანკო ოვერდრაფტები	4,353	–
სხვა კრედიტორული დავალიანება	16	1,241
სულ ფინანსური ვალდებულებები	14,702	6,093

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

15. ფინანსური ვალდებულებები (გაგრძელება)

საბანკო სესხები მოიცავს სს "ვითიბი ბანკისგან" მიღებულ 5,272 ლარს (2010 წ: 1,773 ლარი) ოდენობის თანხას 13%-15% საპროცენტო ანაკვეთით (2010 წ: 14%) და სამიდან ხუთ წლამდე ვადით, სს „თიბისი ბანკისგან“ მიღებულ 4,259 ლარის ოდენობის თანხას 13%-15% საპროცენტო ანაკვეთით და 1 თვიდან 5 წლამდე ვადით და სს „კორ სტანდარტ ბანკისგან“ მიღებულ თანხას 802 ლარის ოდენობით (2010 წ: 3,079 ლარი), 13% საპროცენტო განაკვეთით (2010: 13%) და ერთი წლის ვადით. საბანკო სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის ძირითადი საშუალებებით, რომელთა საბალანსო ღირებულებაც 9,423 ლარია (შენიშვნა 3).

16. სხვა ვალდებულებები

31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა ვალდებულებები მოიცავდა შემდეგს:

	2011	2010
საავადმყოფოების მშენებლობასთან დაკავშირებით დასაფარი		
ვალდებულებები	2,746	–
თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები	860	115
სხვა დანარიცხები	831	274
საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა	463	23
მიღებული ავანსები	284	505
სხვა	655	505
სხვა ვალდებულებები	5,839	1,422

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

17. პირობითი ვალდებულებები**სასამართლო დავები**

ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში შესაძლებელია კომპანიის წინააღმდეგ სარჩელი აღიძრას. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ თუ რაიმე სარჩელის გამო კომპანიას დაეკისრება პასუხისმგებლობა, ამ პასუხისმგებლობის მთლიანი მოცულობა უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო საქმიანობის შედეგებზე.

გადასახადი დაბეგვრა

საკმაოდ ხშირად ხდება საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის არაერთგვაროვანი განმარტება და ცვლილება. ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის ინტერპრეტაცია და გამოყენება კომპანიის გარიგებებთან და საქმიანობასთან მიმართებით შესაძლებელია ეჭვქვეშ დააყენონ შესაბამისმა რეგიონულმა და სახელმწიფო სამსახურებმა. საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში საგადასახადო ორგანოებს სულ უფრო მკაცრი პოზიცია უჭირავთ და ამის გამო შეიძლება ის ოპერაციები და საქმიანობა, რომლებიც წარსულში ეჭვქვეშ არ დამდგარა, ახლა სადავო გახდეს. შესაძლოა რიგ შემთხვევებში ადგილი ჰქონდეს მნიშვნელოვან დამატებით გადასახადებს, ჯარიმებსა და საურავებს. პრაქტიკული არ იქნება შესაძლო დაუზუსტებელი ზარალის ოდენობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მათი უარყოფითი შედეგების ალბათობის განსაზღვრა. სახელმწიფო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ ფისკალური პერიოდები, კერძოდ - შემოწმების წლიდან წინა სამი კალენდარული წელი. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას.

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

პირობითი ფინანსური ვალდებულებები

31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური პირობითი ვალდებულებები მოიცავდა შემდეგს:

	2011	2010
საოპერაციო იჯარის ვალდებულებები:		
- არაუგვიანეს 1 წლისა	692	704
- არაუგვიანეს 1, მაგრამ არაუმეტეს 5 წლისა	2,766	2,815
საინვესტიციო ხასიათის ვალდებულებები	294	—
პირობითი ფინანსური ვალდებულებები	3,752	3,519

294 ლარის ოდენობის (2010: ნული) საინვესტიციო ხასიათის ვალდებულებები მოიცავს საქართველოში, სვანეთში მდებარე საავადმყოფოების მშენებლობის კონტრაქტებს

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

18. წმინდა სადაზღვევო შემოსავალი

წმინდა სადაზღვევო შემოსავალი მოიცავს შემდეგს:

		<i>შენიშვნები</i>	<i>2011</i>	<i>არააუდიტირებული 2010</i>
სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებით მოზიდული პრემია	13		11	498
ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებებით მოზიდული პრემია, პირდაპირი	13		32,576	30,701
სულ მოზიდული პრემია			32,587	31,199
სიცოცხლის დაზღვევის რეზერვში მთლიანი ცვლილება	13		25	11
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში მთლიანი ცვლილება	13		(2,208)	21,135
სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მთლიანი გამოუმუშავებული პრემია, სულ			30,404	52,345
გადამზღვევლების წილი სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებების პრემიებიდან შემოსავალში,			–	–
გადამზღვევლის წილი ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებების პრემიებიდან შემოსავალში, პირდაპირი	13		(6,913)	(7,103)
გადამზღვევლების წილი სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებების რეზერვის ცვლილებაში			–	–
გადამზღვევლის წილი ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებების გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილებაში	13		1,292	(3,299)
სულ გადამზღვევლის წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მთლიან გამოუმუშავებულ პრემიებში			(5,621)	(10,402)
წმინდა სადაზღვევო შემოსავალი			24,783	41,943

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

19. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

ფინანსური აქტივების საპროცენტო ხარჯი და საპროცენტო შემოსავალი მოიცავდა შემდეგს:

	2011	არააუდიტირებული 2010
საპროცენტო შემოსავალი		
საკრედიტო ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები	1,144	1,572
სესხებზე მისაღები გადახდები	433	690
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	14	57
საპროცენტო შემოსავალი	1,591	2,319
საპროცენტო ხარჯი		
საბანკო სესხები	(1,169)	(666)
ფინანსური აქტივების საპროცენტო ხარჯს გამოკლებული საპროცენტო შემოსავალი	422	1,653

20. სხვა საოპერაციო შემოსავალი

	2011	არააუდიტირებული 2010
სხვა საოპერაციო შემოსავალი		
გადაზღვევის კრედიტორული დავალიანების ჩამოწერა	1,374	–
საინვესტიციო ქონების გადაფასება (შენიშვნა 4)	980	–
სხვა	403	188
სხვა საოპერაციო შემოსავალი, სულ	2,757	188
სხვა საოპერაციო ხარჯები		
დაკისრებული ჯარიმები	965	–
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადის ნაშთის ჩამოწერა	740	–
გადამზღვევლების მიმართ წინასწარი გადახდების ჩამოწერა	–	1,105
სხვა	680	468
სხვა საოპერაციო ხარჯები	2,385	1,573
სხვა საოპერაციო შემოსავალს გამოკლებული სხვა საოპერაციო ხარჯები	372	(1,385)

2010 წელს კომპანიის ორი გადაზღვევის კონტრაქტენტი გაკოტრდა. გამოძიების შემდეგ კომპანიის წარმომადგენლებმა დაასკვნეს, რომ გაკოტრებული კონტრაქტების შესაბამისი მოთხოვნები არ დაიფარებოდა და 2011 წელს ეს თანხები ჩამოწერეს.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

21. მომხდარი სადაზღვევო ზარალი, ნეტო

მომხდარი სადაზღვევო ზარალის წმინდა ანაზღაურება მოიცავს შემდეგს:

	<i>შენიშვნები</i>	<i>2011</i>	<i>არააუდიტირებული 2010</i>
ანაზღაურებული ზარალი სიცოცხლის დაზღვევის შემთხვევაში	13	(24)	(145)
ანაზღაურებული ზარალი ზოგადი დაზღვევის შემთხვევაში, პირდაპირი	13	(32,836)	(24,499)
სულ ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალი		(32,860)	(24,644)
ზოგადი დაზღვევის შემთხვევაში გადამზღვევლის წილი ანაზღაურებულ ზარალში	13	16,649	954
მთლიანი ცვლილება სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ მთლიან ვალდებულებებში	13	(26,230)	5,012
გადამზღვევლის წილი სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი ვალდებულების ცვლილებაში	13	25,385	(178)
მომხდარი სადაზღვევო ზარალი, ნეტო		(17,056)	(18,856)

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

22. ხელფასები და სხვა გადახდები თანამშრომლებისთვის

ხელფასები და სარგებელი მოიცავს შემდეგს:

	2011	არააუდიტირებული 2010
ხელფასები	(3,725)	(3,233)
პრემიები	(160)	(253)
დაზღვევა და სხვა სარგებელი	(24)	(180)
ხელფასები და სხვა გადახდები თანამშრომლებისთვის	(3,909)	(3,666)

23. ზოგადი და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს შემდეგს:

	2011	არააუდიტირებული 2010
იჯარა და ქირა	(1,229)	(510)
იურიდიული და საკონსულტაციო მომსახურება	(482)	(159)
საკომუნიკაციო მომსახურება	(239)	(204)
მარკეტინგი და რეკლამა	(170)	(151)
ტრანსპორტირება	(157)	(155)
კომუნალური ხარჯები	(143)	(34)
ბანკებისთვის გადახდილი გასამრჯელო და საკომისიო	(119)	(72)
სამივლინებო ხარჯები	(106)	(123)
ძირითადი საშუალებების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	(98)	(64)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(77)	(70)
საოპერაციო გადასახადები	(48)	(52)
დაცვა-უსაფრთხოება	(40)	(25)
პოლიგრაფიული მომსახურების ხარჯი	(38)	(104)
საოფისე აღჭურვილობა	(37)	(29)
საქველმოქმედო საქმიანობა	(31)	(138)
სხვა	(571)	(282)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები, სულ	(3,585)	(2,172)

24. შემოსავალი გაწეული სამედიცინო მომსახურებიდან

	2011	არააუდიტირებული 2010
შემოსავალი გაწეული სამედიცინო მომსახურებიდან		
შემოსავალი სახელმწიფო პროგრამებიდან	565	—
შემოსავალი თავისუფალი ფულადი ნაკადებიდან (დაუზღვეველი საცალო ინვესტირები)	240	—
შემოსავალი სადაზღვევო კომპანიებიდან	64	—
სხვა შემოსავალი გაწეული სამედიცინო მომსახურებიდან	149	—
სხვა შემოსავალი გაწეული სამედიცინო მომსახურებიდან	1,018	—

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

25. გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯი

	<i>არააუდიტირებული</i>	
	<i>2011</i>	<i>2010</i>
შრომის ანაზღაურების პირდაპირი ხარჯი	(771)	–
მასალების პირდაპირი ხარჯი	(174)	–
სამედიცინო მომსახურების მომწოდებლებზე გაწეული ხარჯი	(27)	–
გაწეული სამედიცინო მომსახურების მთლიანი ხარჯი	(972)	–

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

26. რისკის მართვა

კომპანიის საქმიანობას ახასიათებს რამდენიმე რისკი. ამიტომ რისკის მართვა მისი სადაზღვევო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. რისკი კომპანიის საქმიანობისთვის გარდაუვალია, მაგრამ მათი მართვა ხდება მუდმივი იდენტიფიკაციით, შეფასებითა და ყოველდღიური მონიტორინგით, რისკების ლიმიტებისა და კონტროლის სხვა მექანიზმების გათვალისწინებით. კომპანიის შიგნით თითოეული პირი პასუხისმგებელია თავისი საქმიანობის სფეროში რისკების მართვაზე. კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი ფინანსური რისკები უკავშირდება საკრედიტო საქმიანობას, ლიკვიდურობას და ბაზარზე საპროცენტო და სავალუტო კურსების თუ აქციების ფასების ცვალებადობას. ქვემოთ მოცემულია ამ რისკებთან მიმართებაში კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკის მოკლე აღწერა.

მართვის სისტემა

კომპანიის რისკებისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია მისი დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აბრკოლებს კომპანიის საქმიანობის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. კომპანია აღიარებს რისკების ეფექტური და ეფექტიანი მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას.

კომპანიას განსაზღვრული აქვს რისკის მართვის ფუნქციები და შესაბამისი კომპეტენციები კომპანიის მენეჯმენტის საბჭოსთვის. მენეჯმენტის საბჭო ხელმძღვანელ პირებზე ახდენს რისკის მართვის პოლიტიკასთან შესაბამისობის ზედამხედველობის ფუნქციის დელეგირებას.

მენეჯმენტის საბჭო ამტკიცებს კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკას და სისტემატურად იკრიბება პოლიტიკაში ნებისმიერი კომერციული, ნორმატიული ან ორგანიზაციული მოთხოვნების დასამტკიცებლად. პოლიტიკა განსაზღვრავს კომპანიის მიერ რისკების იდენტიფიკაციას და განმარტებას, ლიმიტის სტრუქტურას, რათა უზრუნველყოს აქტივების სათანადო ხარისხი და დივერსიფიკაცია, ანდერაიტინგისა და გადაზღვევის სტრატეგიის შესაბამისობა კომპანიის მიზნებთან და ანგარიშგების მოთხოვნების დაზუსტება.

კაპიტალის მართვის მიზნები, პრინციპები და მეთოდი

კომპანიას განსაზღვრული აქვს კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პრინციპები და იმ რისკების მართვის მეთოდები, რომლებიც მისი კაპიტალის მდგომარეობაზე მოქმედებს.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით პოლისის მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა.
- კაპიტალის ეფექტურად გამოყოფა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს აქციონერთა მოთხოვნებს.
- ფინანსური მოქნილობის უზრუნველყოფა ლიკვიდურობის მაღალი დონის შენარჩუნებითა და ფინანსური ინსტიტუტების სახსრებზე წვდომით.
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და პოლისების მფლობელების, მარეგულირებელი ორგანოებისა და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

26. რისკის მართვა (გაგრძელება)

„კომპანიის“ საქმიანობა ასევე ექვემდებარება ადგილობრივ ნორმატიულ მოთხოვნებს იმ იურისდიქციის ფარგლებში, რომელშიც საქმიანობა უხდება. ასეთი ნორმატიული მოთხოვნები არა მხოლოდ განსაზღვრავს დამტკიცებისა და მონიტორინგის საქმიანობას, არამედ აწესებს შემზღუდველ ნორმებს, როგორცაა კაპიტალის საკმარისობის (ადეკვატურობის) მოთხოვნა, სადაზღვევო კომპანიების მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობისა და გადახდისუუნარობის რისკის მინიმუმამდე დასაყვანად, რათა მათ შეძლონ გაუთვალისწინებელი ვალდებულებების დროულად შესრულება.

კომპანიის სადაზღვევო და არასადაზღვევო საქმიანობისთვის განკუთვნილი კაპიტალის მართვის პოლიტიკა გულისხმობს საქართველოს ეროვნული ბანკის დირექტივებით გათვალისწინებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საკმარისი ლიკვიდური აქტივების ფლობას.

კაპიტალის მართვის მეთოდი

კომპანია ცდილობს კაპიტალის სტრუქტურისა და წყაროების ოპტიმიზაციას, რათა მუდმივად ხდებოდეს აქციონერებისა და პოლისების მფლობელთა მოგების მაქსიმიზაცია.

კომპანიის მიერ კაპიტალის მართვის მეთოდი გულისხმობს აქტივების, ვალდებულებებისა და რისკების კოორდინირებულ მართვას, გაცხადებული და სავალდებულო კაპიტალის დონეებს შორის არსებული სხვაობის რეგულარულად შეფასებას და კომპანიის კაპიტალის მდგომარეობაზე გავლენის მოსახდენად შესაბამისი ზომების მიღებას.

გასული წლის განმავლობაში კომპანიის პოლიტიკასა და პროცედურებში კაპიტალის სტრუქტურასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა, ამიტომ ის წინა წლებისგან არ განსხვავდება.

სადაზღვევო რისკი

სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული რისკი არის რისკი იმისა, რომ სადაზღვევო შემთხვევა დადგება, თანაც მისით გამოწვეული ზარალის ოდენობის და დროის განსაზღვრა შეუძლებელია. კომპანიისთვის ასეთი ხელშეკრულებებით განპირობებული ძირითადი რისკი ისაა, რომ რეალურმა ზარალმა და გადახდილმა ანაზღაურებამ გადააჭარბოს სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას. ამაზე გავლენას ახდენს ზარალის სიხშირე, მასშტაბი, რეალურად გადახდილი ანაზღაურება, რომელიც მოსალოდნელზე მეტია და გრძელვადიანი მოთხოვნების შემდგომი ცვლილება.

რისკის ცვალებადობა იმართება ზარალის რისკის სადაზღვევო ხელშეკრულებების დიდ პორტფელზე დივერსიფიცირებით, რადგანაც შედარებით დივერსიფიცირებული პორტფელზე ნაკლებად მოახდენს გავლენას პორტფელის რომელიმე ნაწილში მომხდარი ცვლილება და გაუთვალისწინებელი შედეგები. რისკების ცვალებადობა ასევე იმართება ანდერაიტინგის სტრატეგიისა და წესების ფრთხილი შერჩევითა და განხრციელებით და ასევე გადაზღვევის მეშვეობით. კომპანია ადგენს ანდერაიტინგის წესებსა და ლიმიტებს, რომლებითაც განისაზღვრება, ვის რა რისკის მიღება შეუძლია და რა დასაშვები ზღვრების ფარგლებში. ამ ლიმიტების მონიტორინგი მუდმივად წარმოებს.

სადაზღვევო რისკების მონიტორინგისთვის კომპანია ძირითადად იყენებს ზარალიანობისა და კომბინირებულ კოეფიციენტებს: ზარალიანობის კოეფიციენტი მიიღება წმინდა სადაზღვევო მოთხოვნების შეფარდებით წმინდა სადაზღვევო შემოსავალთან. კომბინირებული კოეფიციენტი წარმოადგენს ზარალიანობის და ხარჯების კოეფიციენტების ჯამს. ხარჯების კოეფიციენტი წარმოადგენს საოპერაციო ხარჯებს, რასაც აკლდება საპროცენტო ხარჯის შეფარდება წმინდა სადაზღვევო შემოსავალთან. კომპანიის ზარალიანობისა და კომბინირებული კოეფიციენტები გამოითვლება ნეტოს საფუძველზე შემდეგნაირად:

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

26. რისკის მართვა (გაგრძელება)

სადაზღვევო რისკი (გაგრძელება)

	<i>არააუდიტირებული</i>	
	<i>2011</i>	<i>2010</i>
ზარალიანობის კოეფიციენტი	69%	46%
კომბინირებული კოეფიციენტი	101%	63%

კომპანიის საქმიანობა მოიცავს როგორც სიცოცხლის, ისე ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებებს.

(1) სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებები

კომპანია ძირითადად მოიზიდავს სიცოცხლის დაზღვევის პრემიებს, რომელთა მიხედვითაც პოლისის მფლობელის სიცოცხლე დაზღვეულია გარდაცვალებისგან ან მუდმივი შრომისუუნარობისგან, როგორც წესი, წინასწარ განსაზღვრული პრემიის გადახდის სანაცვლოდ.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სიცოცხლის დაზღვევის ანაზღაურების კონცენტრაცია ოთხ ჯგუფზე (ჯგუფების ლიმიტები წარმოდგენილია ათას ლარში):

ზარალის ანაზღაურების ვალდებულება სიცოცხლის თითოეულ დაზღვევაზე 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	გადაზღვევლის წილი	
	ზარალის ანაზღაურების ვალდებულება, ბრუტო	ზარალის ანაზღაურების ვალდებულებაში წილი
0-100 ათასი ლარი	364	—
100-200 ათასი ლარი	—	—
200-1000 ათასი ლარი	—	—
1,000 ათას ლარზე მეტი	—	—
სულ	364	—

ზარალის ანაზღაურების ვალდებულება სიცოცხლის დაზღვევის თითოეულ შემთხვევაზე 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	გადაზღვევლის წილი	
	ზარალის ანაზღაურების ვალდებულება, ბრუტო	ზარალის ანაზღაურების ვალდებულებაში წილი
0-100 ათასი ლარი	349	—
100-200 ათასი ლარი	—	—
200-1000 ათასი ლარი	—	—
1,000 ათას ლარზე მეტი	—	—
სულ	349	—

კომპანიის ანდერაიტინგის სტრატეგია მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ რისკები კარგად იყოს დივერსიფიცირებული რისკების ტიპებისა და სადაზღვევო ანაზღაურების დონეების მიხედვით. ეს ძირითადად მიიღწევა საქმიანობის სფეროებზე და გეოგრაფიულ არეალებზე დივერსიფიკაციით, სამედიცინო შემოწმების ჩატარებით, რათა დადგინდეს, რომ ფასდადება ითვალისწინებს ჯანმრთელობის ამჟამინდელ მდგომარეობას და ოჯახის სამედიცინო ისტორიას, სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის და პროდუქტების ფასდადების პრაქტიკის სისტემატური გადამოწმებითა და ზარალის რეგულირების დეტალურად გაწერილი პროცედურებით. მოქმედებს ანდერაიტინგის ლიმიტები სათანადო რისკის შერჩევის კრიტერიუმების პრაქტიკაში დასაწერად. მაგალითად, კომპანიას უფლება აქვს, უარი თქვას ინდივიდუალური პოლისების განახლებაზე, მოითხოვოს სადაზღვევო ფრანჩიზა და ცრუ მოთხოვნების შემთხვევაში არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება. გარდა ამისა, სადაზღვევო ხელშეკრულებები კომპანიას

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

უფლებას ანიჭებს, მიმართოს მესამე მხარეებს დანახარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ გადახდის მოთხოვნით. კომპანია სადაზღვევო მოთხოვნების აქტიურად მართვისა და დაუყოვნებლივ წამოყენების პოლიტიკას ატარებს, რათა შეამციროს გაუთვალისწინებელი სამომავლო მოვლენების უარყოფითი გავლენა კომპანიაზე.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

26. რისკის მართვა (გაგრძელება)**სადაზღვევო რისკი (გაგრძელება)**

ამჟამად სადაზღვევო რისკები დიდად არ არის დამოკიდებული კომპანიის მიერ დაზღვეული რისკების გეოგრაფიულ ადგილმდებარეობაზე, თუმცა თანხების მიხედვით რისკების არასასურველმა კონცენტრაციამ შეიძლება გავლენა მოახდინოს პორტფელის მიხედვით ანაზღაურების გადახდის მასშტაბზე. ისეთი ხელშეკრულებების შემთხვევაში, სადაც გარდაცვალება ან შრომისუნარობაა დაზღვეული რისკი, მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებაც შეიძლება გაზარდოს სადაზღვევო მოთხოვნების სიხშირე არის ეპიდემიები, ცხოვრების წესის შეცვლა და სტიქიური უბედურებები, რაც გამოიწვევს მოსალოდნელზე ნაადრევ ან უფრო მეტ სადაზღვევო მოთხოვნას. კომპანია არ ახდენს სიცოცხლის დაზღვევის პორტფელის გადაზღვევას, რათა თავიდან აიცილოს ინდივიდუალური კომპანიის დაზღვევასთან დაკავშირებული მაღალი რისკები.

კომპანიის სადაზღვევო ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია 2011 და 2010 წლების 31 დეკემბრისთვის ქვემოთ არის მოცემული. ეს მონაცემები ეყრდნობა იმ ქვეყნებს, სადაც სადაზღვევო საქმიანობა წარმოებს. პირდაპირი დაზღვევა ხდება საქართველოში.

ზარალის ანაზღაურების ვალდებულება სიცოცხლის თითოეულ დაზღვევაზე 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	ზარალის ანაზღაურების ვალდებულება, ბრუტო	გადამზღვევლის წილი ზარალის ანაზღაურების ვალდებულებაში	ზარალის ანაზღაურების ვალდებულება, ნეტო
საქართველო	364	–	364
სულ	364	–	364
ზარალის ანაზღაურების ვალდებულება სიცოცხლის თითოეულ დაზღვევაზე 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	ზარალის ანაზღაურების ვალდებულება, ბრუტო	გადამზღვევლის წილი ზარალის ანაზღაურების ვალდებულებაში	ზარალის ანაზღაურების ვალდებულება, ნეტო
საქართველო	349	–	349
სულ	349	–	349

(2) ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებები

კომპანიას ძირითადად შემდეგი ტიპის ზოგადი დაზღვევის პროდუქტები აქვს: ავტომობილის ძარის დაზღვევა, ქონების, ფინანსური დანაკარგების, ჯანმრთელობის, პასუხისმგებლობის, ტვირთის, ტვირთების გადამზიდი კომპანიებისადმი ვალდებულებების, მესამე მხარეების მიმართ ზოგადი ვალდებულებების, მესამე მხარეების წინაშე ავტოსამოქალაქო პასუხისმგებლობის, პროფესიული პასუხისმგებლობის, საზღვაო ხომალდის კორპუსის, საჰაერო ხომალდის კორპუსის, საჰაერო ხომალდის მფლობელის მესამე მხარისადმი სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა. არასიცოცხლის დაზღვევის პოლიტიკით გათვალისწინებული რისკები ჩვეულებრივ თორმეტთვიან პერიოდს ფარავს.

ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებების შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანი რისკები წარმოიშობა კლიმატური ცვლილებებისა და სტიქიური უბედურებების შედეგად. ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულებების შემთხვევაში ყველაზე დიდი რისკები წარმოიშობა ცხოვრების წესის შეცვლის და ეპიდემიების შედეგად.

ეს რისკები საკმაოდ არის დამოკიდებული კომპანიის მიერ დაზღვეული რისკის აგილმდებარეობაზე, ტიპზე და საქმიანობის სფეროზე. თანხების მიხედვით რისკების არასასურველმა კონცენტრაციამ შეიძლება დამატებით იმოქმედოს პორტფელის მიხედვით სადაზღვევო ანაზღაურების მასშტაბზე.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

26. რისკის მართვა (გაგრძელება)

სადაზღვევო რისკი (გაგრძელება)

ზემოაღნიშნული რისკის გავლენა მცირდება მათი დივერსიფიცირებით სადაზღვევო ხელშეკრულებების დიდ პორტფელზე. რისკების მერყეობა იმართება ანდერაიტინგის სტრატეგიის ფრთხილი შერჩევითა და განხორციელებით, რომელთა მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები დივერსიფიცირებული იყოს ტიპებისა და სადაზღვევო ანაზღაურების დონეების მიხედვით. ეს ძირითადად მიიღწევა ეკონომიკური საქმიანობის სფეროებზე რისკის დივერსიფიკაციით. გარდა ამისა, კომპანიის რისკის შესამცირებლად არსებობს მთელი რიგი პოლიტიკა და პროცედურები, მათ შორის სადაზღვევო მოთხოვნების შემოწმების მკაცრი პოლიტიკა ყველა ახალი და მიმდინარე მოთხოვნის შესაფასებლად, ზარალის რეგულირების პროცედურის სისტემატური და დეტალური შემოწმება და შესაძლო ცრუ მოთხოვნების შემთხვევების ხშირი კვლევა. კომპანია სადაზღვევო მოთხოვნების აქტიურად მართვისა და დაუყოვნებლივ წამოყენების პოლიტიკას ატარებს, რათა შეამციროს მასზე გაუთვალისწინებელი სამომავლო მოვლენების უარყოფითი გავლენა.

გარდა ამისა, რისკებისგან თავის დასაცავად კომპანია გარკვეულ ხელშეკრულებებზე ანაზღაურების მაქსიმალურ ოდენობას განსაზღვრავს და ბუნებრივი კატასტროფების, მაგალითად ქარიშხლის, მიწისძვრის და წყალდიდობის შედეგად მოყვებული ზარალის რისკის შემცირების მიზნით გადაზღვევას მიმართავს.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

26. რისკის მართვა (გაგრძელება)

სადაზღვევო რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულების კონცენტრაცია ხელშეკრულებების ტიპების მიხედვით.

	2011				2010	
	გადაზღვევ- ლის წილი		გადაზღვევ- ლის წილი		გადაზღვევ- ლის წილი	
	ზარალის ანაზღაურების ვალდებუ- ლება, ბრუტო	ზარალის ანაზღაურების ვალდებუ- ლებაში	ზარალის ანაზღაურების ვალდებუ- ლება, ნეტო	ზარალის ანაზღაურების ვალდებუ- ლება, ბრუტო	ზარალის ანაზღაურების ვალდებუ- ლებაში	ზარალის ანაზღაურების ვალდებულება, ნეტო
ავიაცია	25,086	25,055	31	–	–	–
ჯანდაცვა	3,634	–	3,634	2,779	–	2,779
ფინანსური რისკები	349	329	20	–	–	–
ავტოტრანსპორტი	362	303	59	155	86	69
სიცოცხლე უბედური	364	–	364	349	–	349
შემთხვევა	38	–	38	41	–	41
გარანტიები	13	–	13	–	–	–
ტვირთი	9	4	5	31	16	15
მოგზაურობა	6	–	6	6	–	6
პასუხისმგებლობა	5	–	5	87	46	41
ქონება	2	–	2	31	20	11
ტრანსპორტი	–	–	–	159	138	21
	29,868	25,691	4,177	3,638	306	3,332

ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებების შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანი რისკები წარმოიშობა ავტოტრანსპორტის და ფინანსური რისკების დაზღვევისას ზარალის სიხშირისა და მოცულობის ცვლილებებისა და სამედიცინო მომსახურების ფასების ზრდის შედეგად. ეს რისკები მერყეობს კომპანიის მიერ დაზღვეული რისკის აგვილმდებარეობისა და ტიპების მიხედვით.

რისკების ცვალებადობა იმართება დანაკარგების რისკის დივერსიფიკაციით სადაზღვევო ხელშეკრულებების დიდ პორტფელზე, რადგანაც უფრო დივერსიფიცირებულ პორტფელზე ნაკლებად მოახდენს გავლენას პორტფელის რომელიმე ნაწილში მომხდარი ცვლილება.

რისკების ცვალებადობა ასევე იმართება ანდერაიტინგის სტრატეგიისა ფრთხილი შერჩევითა და განხრციელებით. კომპანია ადგენს ანდერაიტინგის წესებსა და ლიმიტებს, რომლებითაც განისაზღვრება, ვის შეუძლია რისკის მიღება, მათი ხასიათი და დასაშვები ლიმიტები. ამ ლიმიტების მონიტორინგი მუდმივად წარმოებს. გარდა ამისა, მოქმედებს სადაზღვევო მოთხოვნების შემოწმების მკაცრი პოლიტიკა ყველა ახალი და მიმდინარე მოთხოვნის შესაფასებლად და შესაძლო ცრუ მოთხოვნების შემთხვევების კვლევა. ამასთან, კომპანია ხშირად ატარებს მოთხოვნების აქტიურად მართვისა და დაუყოვნებლივ წამოყენების პოლიტიკას, რათა შეამციროს გაუთვალისწინებელი სამომავლო მოვლენების უარყოფითი გავლენა კომპანიაზე.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

26. რისკის მართვა (გაგრძელება)**სადაზღვევო რისკი (გაგრძელება)**

გადაცემული საქმიანობისთვის განსხვავებული პირობებია გათვალისწინებული (გადაზღვევის კვოტა, ზარალის ექსცედენტი), რომელთა მიხედვითაც საქმიანობის შენარჩუნების ლიმიტები განსხვავდება პროდუქტების ხაზებისა და ტერიტორიის მიხედვით. გადამზღვევლებისგან ამოღებადი თანხების შეფასება ხდება იმავე დაშვებებით, რომლებიც გამოიყენება შესაბამისი პოლისის სარგებლის განსაზღვრისთვის და წარმოდგენილია გადაზღვევის აქტივების სახით ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

კომპანიის სადაზღვევო ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია 2011 და 2010 წლების 31 დეკემბრისთვის ქვემოთ არის მოცემული. ეს მონაცემები ეყრდნობა იმ ქვეყნებს, სადაც სადაზღვევო საქმიანობა წარმოებს. პირდაპირი დაზღვევა ხდება საქართველოში, ხოლო ყველა გადამზღვეველი კომპანია მდებარეობს საქართველოს ფარგლებს გარეთ.

	2011				2010	
	გადამზღვევ- ლის წილი		გადამზღვევ- ლის წილი			
	ზარალის ანაზღაურების ვალდებულება, ბრუტო	ზარალის ანაზღაურების ვალდებუ- ლებაში	ზარალის ანაზღაურების ვალდებულება, ნეტო	ზარალის ანაზღაურების ვალდებულება, ბრუტო	ზარალის ანაზღაურების ვალდებუ- ლებაში	ზარალის ანაზღაურების ვალდებულება, ნეტო
საქართველო	29,868	25,691	4,177	3,638	306	3,322
სულ	29,868	25,691	4,177	3,638	306	3,322

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

26. რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური რისკი

(1) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიაყენებს.

კომპანია საკრედიტო რისკის დონეს მართავს თავისი საკრედიტო რისკის პოლიტიკით, რომლითაც აფასებს და განსაზღვრავს იმას, თუ რა წარმოადგენს კომპანიისთვის საკრედიტო რისკს.

ქვემოთ მოკლედ არის აღწერილი, როგორ მართავს კომპანია თავის საკრედიტო რისკს:

გადაზღვევა

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას აქვს გადაზღვევის პრაქტიკა, იგი არ თავისუფლდება პოლისების მფლობელების მიმართ ნაკისრი პირდაპირი მოვალეობებისგან და ამრიგად საკრედიტო რისკი არსებობს გადაცემული საქმიანობის შემთხვევაშიც, რამდენადაც ვერცერთი გადამზღვეველი ვერ შეასრულებს მის ვალდებულებებს ასეთი გადაზღვევის ხელშეკრულებების ფარგლებში. კომპანია არ არის დამოკიდებული რომელიმე გადამზღვეველზე და კომპანიის საქმიანობა არ არის არსებითად დამოკიდებული რომელიმე გადაზღვევის ხელშეკრულებაზე. ანგარიშგების თარიღისთვის არცერთი კონტრაქტის რისკი არ აჭარბებს მთლიანი გადაზღვევის აქტივების 56%-ს. კომპანია თავისი გადამზღვევლების ფინანსურ მდგომარეობას რეგულარულად აფასებს.

სესხები და მისაღები ანგარიშები

კომპანიას დაწესებული აქვს მაქსიმალური დასაშვები თანხები და ლიმიტები, რომლებიც შეიძლება ავანსის სახით გაიცეს/განთავსდეს ამა თუ იმ კონტრაქტში, რომელიც იურიდიული პირია. ეს თანხები და ლიმიტები განისაზღვრება კონტრაქტების გრძელვადიანი რეიტინგების მიხედვით.

კლიენტების ნაშთებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოიშობა პრემიების თუ შენატანების გადაუხდელობის გამო, მხოლოდ პოლისის დოკუმენტში მითითებული საშელავათო პერიოდის განმავლობაში გაგრძელდება, და მისი ამოწურვის შემდეგ პოლისი ანაზღაურდება ან შეწყდება.

საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების ტიპების მიხედვით

კომპანია ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხს მართავს საკრედიტო შეფასებების შიდა სისტემით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში საკრედიტო ხარისხი წარმოდგენილია აქტივების ტიპების მიხედვით კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების არასასესხო მუხლებისთვის, კომპანიის საკრედიტო შეფასების სისტემაზე დაყრდნობით.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

26. რისკის მართვა (გაგრძელება)**ფინანსური რისკი (გაგრძელება)**

		არც ვადაგადა- ცილებული და არც გაუფასურებული შენიშვნები	ვადაგადაცი- ლებული, მაგრამ არა გაუფასურებული 2011	სულ 2011
საკრედიტო ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები	9	11,760	–	11,760
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	8			
- სადაზღვევო დებიტორული დავალიანება		14,284	348	14,632
- მოთხოვნები გადაზღვევიდან		64	–	64
სულ		26,108	348	26,456

		არც ვადაგადა- ცილებული და არც გაუფასურებული შენიშვნები	ვადაგადაცი- ლებული, მაგრამ არა გაუფასურებული 2010	სულ 2010
საკრედიტო ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები	9	14,827	–	14,827
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	8			
- სადაზღვევო დებიტორული დავალიანება		11,592	1,284	12,876
- მოთხოვნები გადაზღვევიდან		–	–	–
საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების ტიპების მიხედვით		26,419	1,284	27,703

სადაზღვევო და საგადაზღვევო დებიტორული დავალიანება, რომელიც არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული, მოიცავს სადაზღვევო და საგადაზღვევო დებიტორულ დავალიანებას, რომელიც ანგარიშგების თარიღისთვის არ არის 30 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული. სადაზღვევო და საგადაზღვევო დებიტორული დავალიანება, რომელიც ვადაგადაცილებულია, მაგრამ არა - გაუფასურებული, მოიცავს სადაზღვევო და საგადაზღვევო დებიტორულ დავალიანებას, რომელიც ანგარიშგების თარიღისთვის 30 დღეზე მეტით არის ვადაგადაცილებული. ვადაგადაცილებული, მაგრამ არა - გაუფასურებული დებიტორული დავალიანების შესაფასებლად კომპანია არ იყენებს საკრედიტო რეიტინგის სისტემას.

(2) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ კომპანიას გაუჭირდება სახსრების მოზიდვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ფულადი ვალდებულებების შესასრულებლად. ლიკვიდურობის რისკი შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულებით სწრაფად გაყიდვის უუნარობამ, კონტრაქტის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობამ, სადაზღვევო ვალდებულებების მოსალოდნელზე ადრე გადახდის აუცილებლობამ ან დაგეგმილი ფულადი ნაკადების მიღების უუნარობამ.

კომპანიის წინაშე მდგარი ყველაზე დიდი ლიკვიდურობის რისკი არის მისი ხელმისაწვდომი ფულადი რესურსების ყოველდღიური საჭიროება სადაზღვევო ხელშეკრულებების საფუძველზე წამოყენებული მოთხოვნებისა და სასესხო ფასიანი ქაღალდებზე გადახდის ვადის დადგომის გამო.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

26. რისკის მართვა (გაგრძელება)**ფინანსური რისკი (გაგრძელება)**

კომპანია ლიკვიდურობას მართავს კომპანიის ლიკვიდურობის რისკის პოლიტიკის მეშვეობით, რომელიც განმარტავს იმას, თუ რა წარმოადგენს კომპანიისთვის ლიკვიდურობის რისკს, განსაზღვრავს სახსრების მინიმალურ პროპორციას სასწრაფო საჭიროებისთვის; სარეზერვო ფონდის შექმნის გეგმას, დაფინანსების წყაროებს და მოვლენებს, რომლებიც მოქმედებაში მოიყვანდა გეგმას, ლიკვიდურობის რისკის პოლიტიკასთან შესაბამისობის კონტროლსა და მის რეგულარულ გადამოწმებას აქტუალურობის შესანარჩუნებლად და გარემოში მომხდარი ცვლილებების გასათვალისწინებლად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი. აქტივები და ვალდებულებები დაჯგუფებულია ვადიანობის მიხედვით, ანგარიშგების დღისთვის ხელშეკრულების ამოწურვის ან დაფარვის მოსალოდნელ თარიღამდე დარჩენილი ვადის შესაბამისად.

31 დეკემბერი, 2011 წ.	ერთი წლის ვადაში	ერთ წელზე მეტ ვადაში	სულ
აქტივები:			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	1,704	–	1,704
საკრედიტო ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები	11,760	–	11,760
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	14,695	–	14,695
გადაზღვევის აქტივები	5,345	25,054	30,399
სესხები და მისაღები ანგარიშები	288	–	288
მიმდინარე მოგების გადასახადი აქტივი	768	–	768
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	–	1,143	1,143
სხვა აქტივები	2,317	2,573	4,890
სულ აქტივები	36,878	28,770	65,648
ვალდებულებებში:			
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	19,986	25,054	45,040
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	8,565	–	8,565
ფინანსური ვალდებულებები	6,492	8,211	14,703
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	152	–	152
სხვა ვალდებულებები	5,839	–	5,839
სულ ვალდებულებები	41,033	33,265	74,298
ნეტო პოზიცია	(4,155)	(4,495)	(8,650)
აკუმულირებული გეპი	(4,155)	(8,650)	

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

26. რისკის მართვა (გაგრძელება)**ფინანსური რისკი (გაგრძელება)**

31 დეკემბერი 2010 წ.	ერთი წლის ვადაში	ერთ წელზე მეტ ვადაში	სულ
აქტივები:			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	2,222	–	2,222
საკრედიტო ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები	8,640	6,367	14,827
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	12,876	–	12,876
გადაზღვევის აქტივები	3,722	–	3,722
სესხები და მისაღები ანგარიშები	884	1,262	2,146
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	–	815	815
სხვა აქტივები	1,229	1,382	2,611
სულ აქტივები	29,393	9,826	39,219
ვალდებულებებში:			
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	16,627	–	16,627
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	8,549	–	8,549
ფინანსური ვალდებულებები	6,093	–	6,093
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები	129	–	129
სხვა ვალდებულებები	1,422	–	1,422
სულ ვალდებულებები	32,820	–	32,820
ნეტო პოზიცია	(3,427)	9,826	6,399
აკუმულირებული გეპი	(3,427)	6,399	

კომპანიის მიერ ვალდებულებების დაფარვის უნარი დამოკიდებულია მის მიერ დროის იმავე მონაკვეთში ექვივალენტური ოდენობის აქტივების რეალიზაციაზე. საქართველოს ბაზარზე ბევრი მოკლევადიანი კრედიტი გაიცემა იმ მოლოდინით, რომ მათი დაფარვის თარიღისთვის ამ სესხების ვადა გაგრძელდება. ლიკვიდურობის გასაუმჯობესებლად კომპანიამ სხვადასხვა ბანკისგან ისესხა 2,137 ლარის ოდენობის ფულადი სახსრები. ხელმძღვანელობის აზრით ეს კრედიტები კომპანიას ლიკვიდურობის უფრო ეფექტურად მართვის საშუალებას მისცემს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების მიხედვით. დაფარვები, რომლებიც ექვემდებარება წინასწარ შეტყობინებას, აღრიცხულია იმ დაშვებით, რომ შეტყობინება დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

26. რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური რისკი (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

2011 წლის 31 დეკემბრის

მდგომარეობით

	<i>3 თვეზე ნაკლები</i>	<i>3-დან 12 თვემდე</i>	<i>1-დან 5 წლამდე</i>	<i>5 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
ფინანსური ვალდებულებები	3,321	3,190	1,681	6,511	14,703
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	<u>3,321</u>	<u>3,190</u>	<u>1,681</u>	<u>6,511</u>	<u>14,703</u>

ფინანსური ვალდებულებები

2010 წლის 31 დეკემბრის

მდგომარეობით

	<i>3 თვეზე ნაკლები</i>	<i>3-დან 12 თვემდე</i>	<i>1-დან 5 წლამდე</i>	<i>5 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
ფინანსური ვალდებულებები	1,773	4,320	–	–	6,093
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	<u>1,773</u>	<u>4,320</u>	<u>–</u>	<u>–</u>	<u>6,093</u>

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

26. რისკის მართვა (გაგრძელება)**გეოგრაფიული კონცენტრაცია**

კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია 2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ. ეს მონაცემები ეყრდნობა იმ ქვეყნებს, სადაც სადაზღვევო საქმიანობა წარმოებს. ანალიზი არსებითად განსხვავებული არ იქნებოდა, იმ ქვეყნებს რომ ეხებოდა, სადაც კონტრაქტები მდებარეობენ.

	2011				2010			
	საქართველო	„ეთგო“-ს წევრი ქვეყნები	„ეთგო“-ს არაწევრი ქვეყნები	სულ	საქართველო	„ეთგო“-ს წევრი ქვეყნები	„ეთგო“-ს არაწევრი ქვეყნები	სულ
აქტივები:								
სესხებზე მისაღები								
გადახდები	288	–	–	288	2,146	–	–	2,146
გადაზღვევის აქტივები	144	28,297	1,958	30,399	382	2,691	649	3,722
გადავადებული								
საგადასახადო								
აქტივები	1,143	–	–	1,143	815	–	–	815
მოგების გადასახადი								
აქტივები	768	–	–	768	–	–	–	–
სხვა აქტივები	4,890	–	–	4,890	2,558	53	–	2,611
მოთხოვნები								
დაზღვევიდან და								
გადაზღვევიდან	14,632	–	63	14,695	12,808	60	8	12,876
საკრედიტო								
ინსტიტუტებისგან								
მისაღები თანხები	11,760	–	–	11,760	14,827	–	–	14,827
ფულადი სახსრები და								
ფულადი სახსრების								
ეკვივალენტები	1,654	50	–	1,704	2,169	53	–	2,222
სულ აქტივები	35,280	28,347	2,021	65,648	35,705	2,857	657	39,219
ვალდებულებებში:								
მოგების გადასახადის								
ვალდებულება	27	–	–	27	129	–	–	129
სადაზღვევო								
ხელშეკრულებებით								
გათვალისწინებული								
ვალდებულებები	45,040	–	–	45,040	16,627	–	–	16,627
სხვა სადაზღვევო								
ვალდებულებები	4,185	3,037	1,343	8,565	3,833	3,384	1,332	8,549
ფინანსური								
ვალდებულებები	14,703	–	–	14,703	4,913	–	1,180	6,093
სხვა ვალდებულებები	5,839	–	–	5,839	1,422	–	–	1,422
სულ ვალდებულებები	69,918	3,037	1,343	74,298	26,924	3,384	2,512	32,820
ნეტო პოზიცია	(34,638)	25,310	678	(8,649)	8,781	(527)	(1,855)	6,399

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

26. რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების რისკი საბაზრო ფაქტორების, მაგალითად საპროცენტო განაკვეთებისა და ვალუტის კურსის მერყეობის შედეგად.

კომპანიას ახასიათებს საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილების შედეგად, რასაც იწვევს სავალუტო კურსის (სავალუტო რისკი), საბაზრო საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო განაკვეთის რისკი) და საბაზრო ფასების (საფასო რისკი) მერყეობა, იმის მიუხედავად ფასებში ასეთი ცვლილებები გამოწვეულია ცალკეული ინსტრუმენტისთვის ან მისი ემიტენტისთვის დამახასიათებელი ფაქტორებით თუ ბაზარზე მიმოქცევაში არსებულ ყველა ინსტრუმენტზე მოქმედი ფაქტორებით.

კომპანია აღებული საბაზრო რისკის დონეებს ანაწილებს კომპანიის საბაზრო რისკის პოლიტიკის მიხედვით, რომელიც განსაზღვრავს იმას, თუ რა წარმოადგენს კომპანიისთვის საბაზრო რისკს, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას, აქტივების გამოყოფასა და პორტფელის ლიმიტების სტრუქტურას, დივერსიფიკაციის სტანდარტებს ინსტრუმენტების ტიპებისა და გეოგრაფიული არეალის მიხედვით, რისკის ნეტო ლიმიტებს თითოეული კონტრაქტის ან კონტრაქტების ჯგუფის, გეოგრაფიული მდებარეობისა და საქმიანობის სფეროს მიხედვით, ჰეჯირების კონტროლს, საბაზრო რისკების არსებობისა და დარღვევების შესახებ მაკონტროლებელი ორგანოსთვის შეტყობინების წესებს, საბაზრო რისკის პოლიტიკასთან შესაბამისობის მონიტორინგსა და საბაზრო რისკის პოლიტიკის რეგულარულ გადამოწმებას აქტუალურობის შესანარჩუნებლად და გარემოში მომხდარი ცვლილებების გასათვალისწინებლად, იმ პოტენციური დანაკარგების პერიოდულ შეფასებას, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს საბაზრო პირობებში უარყოფითმა ცვლილებებმა და ექსცედენტური გადაზღვევის ჯეროვანი ლიმიტებისა და მარჟების განსაზღვრას და შენარჩუნებას.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

ყველა ფინანსურ ინსტრუმენტს აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი. ამრიგად, დღეისათვის კომპანიისთვის არ არსებობს მნიშვნელოვანი საპროცენტო რისკი.

სავალუტო რისკი

კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე მოქმედებს სავალუტო კურსების მერყეობა. კომპანიის გარიგებები ძირითადად ლარში ხორციელდება. სავალუტო რისკი წარმოდგება აშშ დოლარსა და ევროსთან მიმართებაში, რადგანაც აშშ დოლარში გამოხატული სადაზღვევო ოპერაციები კომპანიის ოპერაციების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს.

კომპანიის ფინანსური აქტივები ძირითადად გამოხატულია იმავე ვალუტაში, რაშიც მისი სადაზღვევო ვალდებულებები, რაც ამცირებს სავალუტო რისკს საერთაშორისო ოპერაციების შემთხვევაში. ამრიგად, სავალუტო რისკი ძირითადად ახასიათებს მომავალში დასაფარი სადაზღვევო და საინვესტიციო ვალდებულებებისგან განსხვავებულ ვალუტებში გამოხატულ აქტივებსა და ვალდებულებებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ის ვალუტები, რომლებშიც კომპანიას 2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მნიშვნელოვანი რისკი აქვს თავის არაკომერციულ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებზე და პროგნოზირებულ ფულად ნაკადებზე. ანალიზი გამოითვლის ლართან მიმართებაში სავალუტო კურსის რეალურად მოსალოდნელი მერყეობის გავლენას, როდესაც ყველა სხვა ცვლადი მუდმივია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. ცხრილში უარყოფითი რიცხვები ასახავს პოტენციურ ნეტო შემცირებას მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, ხოლო დადებითი რიცხვები - პოტენციურ ნეტო ზრდას.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

26. რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი (გაგრძელება)

	2011			
	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები:				
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	631	1,070	3	1,704
საკრედიტო ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები	–	11,673	87	11,760
სესხები და მისაღები ანგარიშები	288	–	–	288
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	9,279	5,380	36	14,695
გადაზღვევის აქტივები	219	30,179	1	30,399
ფინანსური აქტივები, სულ	10,417	48,302	127	58,846
ფინანსური ვალდებულებები:				
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	15,418	29,580	42	45,040
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	4,680	3,885	–	8,565
ნასესხები სახსრები	2,003	12,699	–	14,702
სხვა ვალდებულებები	5,839	–	–	5,839
სულ ფინანსური ვალდებულებები	27,940	46,164	45	74,146
ნეტო პოზიცია	(17,523)	2,138	84	(15,300)
სავალუტო კურსის პროცენტული ზრდა		9.05%	15.89%	
გავლენა მოგებაზე		323	29	
სავალუტო კურსის პროცენტული ზრდა		(9.05%)	(15.89%)	
გავლენა მოგებაზე		(323)	(29)	

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

26. რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი (გაგრძელება)

	2010			
	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
აქტივები:				
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	875	1,247	100	2,222
საკრედიტო ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები	–	14,756	71	14,827
სესხები და მისაღები ანგარიშები	765	1,381	–	2,146
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	9,648	3,171	57	12,876
გადაზღვევის აქტივები	354	3,337	31	3,722
სულ აქტივები	11,642	23,892	259	35,793
ვალდებულებები:				
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	12,654	3,903	70	16,627
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	2,948	5,601	–	8,549
ფინანსური ვალდებულებები	–	6,093	–	6,093
სხვა ვალდებულებები	1,207	205	10	1,422
სულ ვალდებულებები	16,809	15,802	80	32,691
ნეტო პოზიცია	(5,167)	8,090	179	3,102
სავალუტო კურსის პროცენტული ზრდა		7.15%	15.36%	
გავლენა მოგებაზე		1,025	65	
სავალუტო კურსის პროცენტული ზრდა		(7.15%)	(15.36%)	
გავლენა მოგებაზე		(1,025)	(65)	

უცხოური ვალუტა ძირითადად წარმოდგენილია აშშ დოლარსა და ევროში, თუმცა ასევე მოიცავს „ეთგო“-ს სხვა წევრი ქვეყნების ვალუტებსაც. კომპანიის ძირითადი ფულადი ნაკადები (შემოსავლები, საოპერაციო ხარჯები) მეტწილად წარმოიქმნება ლარში. ამის გამო აშშ დოლართან მიმართებაში ლარის კურსის სამომავლო ცვლილება გავლენას მოახდენს კომპანიის აშშ დოლარში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. ამ ცვლილებებმა შეიძლება ასევე იმოქმედოს კომპანიის უნარზე, მოახდინოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში აშშ დოლარში შეფასებული არაფულადი აქტივების რეალიზაცია.

საფასო რისკი

კომპანიის საფასო რისკი უკავშირდება იმ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომელთა ღირებულებაც მერყეობს საბაზრო ფასების ცვლილებების შედეგად. 2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ასეთ ფინანსურ აქტივებსა თუ ვალდებულებებს არ ფლობდა.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

27. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორზეც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

27. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთია:

	2011		არააუდიტირებული 2010	
	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარე- ბული პირები	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარე- ბული პირები
სესხებზე მისაღები გადახდები	–	–	–	493
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	2	89	6	62
სხვა აქტივები	16	1,040	–	1,009
	18	1,129	6	1,564
ვალდებულებებში				
გადასახდელი დივიდენდები	13	–	429	–
	13	–	429	–
შემოსავალი და ხარჯები				
სადაზღვევო პრემია	1	29	6	63
სესხებზე საპროცენტო შემოსავალი	–	50	42	247
სესხებზე საპროცენტო ხარჯი	(7)	–	–	(7)
სხვა ხარჯები	–	(1,122)	(171)	(11)
	(6)	(1,043)	(123)	292

ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება (2011: 3 პირი; 2010: 3 პირი) მოიცავდა შემდეგს:

	2011	არააუდიტირებული 2010
ხელფასები და პრემიები	371	220
სულ ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება	371	220

28. შემდგომი მოვლენები

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მაისს გამოცემული #165 რეზოლუციით, სადაზღვევო კომპანია შპს "აი სი ჯგუფი" ჩაერთო სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის მორიგ პროგრამაში. პროგრამა ამოქმედდება 2012 წლის 1 სექტემბრიდან.